პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

[illegible]

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტ. ორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 180 ოთხშაბათი, 8 აგვისტო, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 100,000 მან. № 180

დ ღ ი უ რ ი

— გერმანიის „გაერთიანებული" სოციალ-დემოკრატია ხელ ახალი გათიშვის წინაშე დგას, მემარცხენე ფრთა მოითხოვს კუნოს მთავრობის დამხობას, კომუნისტებთან შეთანხმებას და სოციალისტური მთავრობის შედგენას.

— ინგლისის კონსერვატორული გაზეთები გაფართოებულ კამპანიას ეწევიან ამხ. რაკოვსკის ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშვნის გამო ინგლისში.

— ფინეთის მთავრობამ დახურა თითქმის ყველა მუშური გაზეთები.

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს პრეზიდიუმისაგან

თანახმად თბილისის საბჭოს პლენუმის დადგენილებისა, ევალება საბჭოს ყველა წევრებს 10 აგვისტომდე აუცილებლად გამოცხადდენ აღმასკომის სამდივნოში და ჩაეწერონ რომელიმე სექციაში სამუშაოთ.

სექციაში სამუშაოთ ჩაწერა სავალდებულოა:

კრ. 539 4—4

პრეზიდიუმი.

ხუთშაბათს, 9 აგვისტოს ცენტრალურ მუშათა კლუბის საზაფხულო შენობაში შესდგება ტფილისის საბჭოს

საზეიმო სხდომა

საქარხნო და საფაბრიკო ადგილკომებისა და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

დღის წესრიგის საკითხები:

1. საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.
2. საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ტფილისის განყოფილების მოწყობის შესახებ.

საბჭოს პრეზიდიუმი.

ნაციონალ-დემოკრატების დეკლარაცია

ანტისაბჭოთა პარტიების კოალიციაში დაშლა-დარღვევის პროცესი კვლავ თავისი გზით მიმდინარეობს, ფართოვდება და ღრმავდება. დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება დეკლარაცია ნაციონალ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და ეგრედ წოდებულ რადიკალ დემოკრატების. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით გარჩევას დეკლარაციის დებულებებისას ამ პარტიის სოციალ პოლიტიკური მრწამსის შესახებ ან კერძოთ იმაზე, თუ რამდენათ განსაზღვრავდა მის პროგრამასა და პრაქტიკას **მხოლოთ** ნაციონალური მომენტი.

ცხადია და ბუნებრივი, რომ თუ შედარებით ძლიერი რუსეთის ბურჟუაზიის პარტიები იძულებული შეიქნენ გაშლილ [illegible] მოქალაქო ომის შემდეგ, სადაც ისინი სასტიკათ დამარცხდნენ, გასცლოდნენ პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზს—მით უფრო ასეთი ბედი სწვეოდა ყველაზე უფრო მემარჯვენე პოლიტიკურ წარმომადგენლობას ღონენაკლული ქართული ბურჟუაზიისას. საქართველოს კონტრ-რევოლიუციონური ბანაკის დაშლის საერთო ფონზე, სადაც ასეთი სიცხადით და ძლიერებით ჩანს საქართველოს ბურჟუაზიის მემარცხენე პოლიტიკური პარტიის (მენშევიკების) გახრწნა-დარღვევა, ნაციონალ-დემოკრატების პოლიტიკურ-ორგანიზაციული ლიკვიდაციის დასაწყისი ვერ მიიპყრობს დიდ ყურადღებას საქართველოს მშრომელი ხალხისას, არა მარტო იმიტომ, რომ ამ პარტიის დაშლის შემდეგ დარჩენილი, ასე ვსთქვათ, სოციალური მასალა ვერაფერს შეჰმატებს სოციალისტური წყობილების მშენებელთა რაზმებს, როგორ შემთხვევასაც ჩვენ გვაძლევს მაგ. მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია. არა მარტო ამიტომ, ვამბობთ ჩვენ, არამედ იმიტომაც, რომ თავიანთი პოლიტიკური გავლენით როგორც ნაციონალ-დემოკრატიული, ისე რადიკალ-დემოკრატიული პარტიები არ შეადგენდენ საქართველოს სინამდვილეში რაიმე სერიოზულ ძალას.

მიუხედავათ ამისა, ამ პარტიების დეკლარაცია, პრაქტიკული ნაბიჯი, რომელსაც სდგამენ მათი ხელმძღვანელი ცენტრის გავლენიანი მოღვაწეები ამ პარტიათა საბოლოო ლიკვიდაციის მიზნით, ფრიად მაჩვენებელია და ღირსშესანიშნავი. პარტიული კონტრ-რევოლიუციის იდეოლოგებს ფეხიდან ეცლებათ ერთი დასაყრდენი ძალა, რომლის მიმ- [illegible] და შეადგენენ დღესაც ერთ უმთავრეს სამხედრო რეზერვს მათი აქტივობისას. საქმე, თუმცა დაგვიანებული, გულახდილობით დეკლარაციის ავტორები მოგვითხრობენ თავიანთ პარტიული მოღვაწეების ანტისაბჭოთა გამოსვლებზე. ისინი აშკარათ აღიარებენ, რომ მათი ხელმძღვანელი ცენტრი 1) ხელს უშლიდა საქართველოში მშრომელთა მშვიდობიანი მუშაობის აღდგენას; 2) ინტერვენციის მოლოდინში ის სცდილობდა შეექმნა საქართველოში სპეციფიკური სულისკვეთება საბჭოთა მთავრობისა და დაწესებულებების სახელის გატეხით, ინსინუაციებით, აშკარა ტყუილებით; 3) აწყობდა სამხედრო ორგანიზაციებს; 4) ეხმარებოდა ყაჩაღთა ბანდებს, სურდა რა ესარგებლა მათი გამოსვლებით თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის, როგორც ამას სჩადიოდა საქართველოს მენშევიკური პარტია, რომლის თანამშრომელი იყო ნაციონალ-დემოკრატია ეგრედ წოდებულ პარიტეტულ კომიტეტში და მის სამხედრო ცენტრში.

ყოველივე ეს არც დღემდი, მათ დეკლარაციამდე, წარმოადგენდა საიდუმლოებას საქართველოს მშრომელი ხალხისათვის, მისი მთავრობისა და მმართველი პარტიისათვის. რევოლიუციონური წესრიგის დამცველმა ორგანოებმა ბევრათ ადრე იცოდენ ამ პარტიის მოღვაწეობა, მოღვაწეები და მართლმსაჯულებამაც საკადრისი მიუზღო მათ, ვინც მას ხელში ჩაუვარდა დღემდე. პარტიის პასუხისმგებელ პირების დეკლარაცია ერთნაირ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ხსნის ამ მოღვაწეებს იმ პირების მოქმედებისათვის, რომლებიც დღემდე განაგრძობენ უიმედო და დალუპული საქმის კეთებას. მაგრამ ბუნებრივია, რომ თუ ამ დეკლარაციისა და პარტიის მომავალი ლიკვიდაციის შემდეგაც დარჩებიან ისეთები, რომლებიც არ გაჰყვებიან ცენტრალური კომიტეტის წევრების მიერ დღეს აღებულ პოლიტიკურ ხაზს და განაგრძობენ, როგორც წარსულში, თავიანთ ჩხირკედლაობას, ასეთ შემთხვევაში აღარავის, ამ პარტიის ახლომახლო წრეებიდან, აღარ უნდა დაურჩეს გასაკვირათ, თუ რევოლიუციონური ხელისუფლების დამსჯელი ხელი გამანადგურებელ რისხვათ დაეშვება მათ თავზე და დაიცავს რევოლიუციონურ წესრიგს და მშვიდობიანი შრომის ინტერესებს...

მნიშვნელოვანი ნაბიჯი

ასეთად მიგვაჩნია ჩვენ ის დებულება საფოსტო განყოფილებათა მიერ ჟურნალ-გაზეთებზე ხელისმოწერის მიღების შესახებ, რომელიც ამ დღეებში შეიმუშავა ა. კ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა.

საზოგადოთ პერიოდულ გამოცემებზე, უმთავრესათ ყოველდღიურ გაზეთებზე, ხელის მოწერის საქმე და მათი გავრცელება რომ ვერ არის სასურველათ დაყენებული—ეს არავისათვის აღარ შეადგენს საიდუმლოებას. იმ ფაქტში, რომ ამ მხრივ სხვა მეზობელ რესპუბლიკებშიაც, სამწუხაროთ, ცუდათ არის საქმე—ჩვენთვის სანუგეშო არაფერი უნდა იყოს. თუ რამეს გვავალებს ეს საყოველთაო მდგომარეობა—ეს არის საერთო ზომების მიღება მის შესაცვლელათ. და ამ ზომების შემუშავებას ისახავდა მიზნათ, სხვათა შორის, თათბირი ამიერ-კავკასიის გაზეთების რედაქტორებისა, რომლებიც, ა. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირის გამო, შეიკრიბნენ ამ ორი თვის წინეთ თბილისში. სამწუხაროთ თათბირი ძალიან მალე დასრულდა და ვერ ამოიწურა საჭირო სისრულით ყველა პრაქტიკული კითხვები ჩვენი პრესის ყოფა-მდგომარეობის შესახებ მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ თათბირის მოსამზადებელი მუშაობის შედეგებმა წინ წასწიეს რამოდენიმეთ მაინც ჩვენი პრესის საქმე ერთ ერთ ასეთ მთავარ თუ არა უმთავრეს სფეროში, როგორიც არის გაზეთებზე ხელისმოწერა და მათი გავრცელება.

კომისიაში, რომელსაც მინდობილი ჰქონდა დაემუშავებია გაზეთების ექსპედიციის საკითხი და მოემზადებია თეზისების პროექტი ზემოხსენებულ თათბირზე წარსადგენათ, ერთხმათ იქნა მიღებული წინადადება იმის შესახებ, რომ გამოყენებული ყოფილიყო საფოსტო კონტორები და კოოპერატიულ გაერთიანებათა ადგილობრივი დუქნები გაზეთებზე ხელისმოწერის მიღების მისაწყობათ და რომ ამ მიზნით აღძრულიყო შუამდგომლობა სათანადო ცენტრების წინაშე. ეს უკანასკნელიც მოხდა რ. კ. პ. ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის ინიციატივით და უკვე ხელთ გვაქვს ზემოხსენებული „დებულება", რომელიც იბეჭდება დღეს ჩვენს გაზეთშიც.

ამ დებულების თანახმათ, ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორებში მიიღება ხელის მოწერა ყველა იმ ჟურნალ-გაზეთებზე, რომელთა რედაქციები სათანადო კომისარიატში განაცხადებენ სურვილს ისარგებლონ ხსენებული დაწესებულებებით ამ მიზნისათვის. ასეთი ზომის მიღებით ფოსტა-ტელეგრაფის უწყება, ეჭვს გარეშეა, დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი პრესის გავრცელების საქმეს. როგორათაც არ უნდა იყოს გავრცელებული, ჩვენი კულტურული ჩამორჩენილობის გამო, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებები პროვინციაში, ის კონტორები მაინც, რომლებიც უკვე არსებობენ, დიდ დახმარებას აღმოუჩენენ ხელისმოწერის მსურველებს გაზეთებზე—რადგან ეს ხელისმოწერა იწარმოებს შედარებით მარტივათ, ვინემ დღემდე და ფულის გადასაგზავნი ხარჯის გაუწევლათ, რაც მისაღებია მხედველობაში და შეეფერება მკითხველის ინტერესებს. რასაკვირველია, ამ ზომით არ ამოიწურება ის ღონისძიებანი, რომლებიც მისაღებია, რათა გაზეთების გავრცელების საქმემ წინ წაიწიოს, მაგრამ ეს უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ სფეროში და ჩვენი ამხანაგებისაგან არის მომავალში დამოკიდებული, ფართოთ ისარგებლონ თუ არა გამოქვეყნებული დებულებით და გასწევენ თუ არა სათანადო აგიტაციას ამ ზომის ხსნა-განმარტებისათვის სოფლათ. კოოპერატივები, საბჭოები, იაჩეიკებს და ცალკე პირებს შეუძლიათ მიიღონ აგრეთვე ხელისმოწერა და დააკვეთონ გაზეთები უახლოესი საფოსტო კონტორის საშუალებით.

ამით რამოდენიმეთ გადაწყდება საკითხი ხელისმომწერთა გამრავლების შესახებ, მაგრამ მეორე, შეიძლება უფრო მტკივნეული, ამოცანა ჩვენი პრესის მდგომარეობის: მისი ექსპედიცია და ხელის მომწერთათვის დროზე მიწოდება გაზეთების, ყოველივე ეს უცდის კიდევ თავის საბოლოო მოწესრიგებას. ჩვენ გამოვთქვამთ იმედს, რომ საერთო ძალით, ტრანსპორტზე მომუშავე და ადგილობრივი ამხანაგების დახმარებით დავძლევთ ბოლოს და ბოლოს ამ სიძნელესაც

საბჭოთა ქვეყნები და უცხოეთი

ბერლინში შესდგა გერმანიაში ახლად დაარსებული „ახალ რუსეთის მეგობართა საზოგადოების" პირველი კრება, რომელზედაც ხელოვნების ცნობილმა ისტორიკოსმა ადოლფ ბენემ წარმოსთქვა სიტყვა შემდეგ თემაზე: „რუსეთის ხელოვნების განვითარება". გეოგრაფმა დოქტორ ოლხნერმა აღნიშნა რუსეთის დიდი შესაძლებლობანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ არა მარტო რუსეთის ხალხისათვის, არამედ გერმანიისა და სხვა კულტურულ ხალხებისათვისაც.

რუსეთის ცნობილმა მატემატიკოსმა პროფ. კრილოვმა აღნიშნა, რომ საზოგადოების დაარსებას მადლობის გრძნობით მიესალმებიან როგორც რუსეთში, ისე გერმანიაშიც.

საზოგადოების კომიტეტში შესვლის სურვილი განაცხადეს შემდეგმა პირებმა: დოქტორ ადოლფ ბენემ, პროფესორმა ალბერტ ეინშტეინმა, პროფ. ელცბახერმა, გამომცემელმა ს. ფიშერმა, დოქტ. ჰერბერტ იგერინგმა, რეჟისორ ლეოპოლდ ჰასპერიმ, მწერალმა ბერნგარდტ კელერმანმა, რეიხსტაგის პრეზიდენტმა ლებემ, პროფ. ლიბმანმა, პროფ. მაკ ვალდიმ, მორიც მელცერმა, „სასკოლო რეფორმის კავშირის" ხელმძღვანელმა პროფ. ესტერეიმ, სასკოლო მრჩეველმა პაულსენმა, გამომცემელმა რევოლდიმ, ბანკირმა ჰუგო სიმონმა, იუსტიციის მრჩეველმა ბერგაუერიმ და ბევრმა სხვამ. ეს საზოგადოება თავის პროგრამის მიხედვით პარტიულ და პოლიტიკურის მხრივ სრულებით ნეიტრალურია და მიზნათ ისახავს ხელი შეუწყოს რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულებათა განვითარებას.

საზოგადოებამ გამოუშვა მოწოდება, რომელიც მთელს გერმანიაში ვრცელდება; მოწოდებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „აუცილებელია, რომ გერმანიისა და რუსეთის კულტურული ძალები თანამშრომლობდენ საერთო საქმეში. ამ მიზნისათვის ბერლინში დაარსდა „ახალი რუსეთის მეგობართა საზოგადოება", რომელიც სცდილობს გააერთიანოს მიზანშეწონილად და ორგანიზაციულად ყველა ისინი, რომელნიც, მიუხედავად პარტიული მიმართულებისა, მიზნათ დაისახავენ რუსეთის ეკონომიურ და კულტურულ პირობების გამორკვევას იმისთვის, რომ ამ ნიადაგზე შესაძლებელი გახდეს ორივე ქვეყნის პრაქტიკული თანამშრომლობის განვითარება".

ამ ამოცანების განსახორციელებლათ საზოგადოება [illegible] შემდეგი გეგმა:

1. მოეწყოს საინფორმაციო ბიურო ამბების ნამდვილ მასალების შესაგროვებლად.

2. მოეწყოს წევრების პერიოდული კრებები, დისკუსიები და მოხსენებების საღამოები პოლიტიკის, მეურნეობის, ტეხნიკის, მეცნიერების, ხელოვნების, აღმზრდელობის, სოციალურ დაწესებულებებისა, უფლებისა და სხვა საკითხების შესახებ.

3. სამეურნეო, ტეხნიკური, სამეცნიერო და ხელოვნების გამოფენების მოწყობა გერმანიასა და რუსეთში.

რუსეთის უკანასკნელი დროის თეატრალურ ნაწარმოებების დადგმა, ხელოვნების [illegible] მოწყობა კინო-სურათების გადაღება და სხვები.

4. ორგანოს გამოცემა რუსეთის კულტურისა და მეურნეობის საკითხების შესახებ.

5. წევრებისათვის რუსულ-გერმანულ ბიბლიოთეკის მოწყობა და ბიბლიოგრაფიულ ცნობების გამოცემა რუსეთის შესახებ.

შემდეგ მოსალოდნელია შესაძლებელი გახდეს გერმანულ და შემდეგ რუსულ ნათარგმნ ნაწარმოებების გამოცემა სხვა და სხვა საკითხების შესახებ, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გაცვლა გამოცვლა და ექსკურსიების მოწყობა ცალკე პირებისა და მთელი ჯგუფებისათვის. საზოგადოების მიერ გამართულ რამდენიმე კრებას აუარებელი საზოგადოება დაესწრო და მათ მხურვალე გამოძახილი ჰპოვეს გერმანულ პრესაში.

გერმანიისა, ჩეხო-სლოვაკიისა და ამერიკის დაგვარათ მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტის წარმომადგენლის დახმარებით ესპანეთშიც მოეწყო „ახალ რუსეთის მეგობართა საზოგადოება". საზოგადოებას მრავალი პროფესორები და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები მიემხრენ. ეს დიდი მიღწევაა, რადგან ესპანეთში აქამდის ათასნაირი სიმართლეს მოკლებული ამბებია გავრცელებული საბჭოთა რუსეთის შესახებ. ეხლა დიდ გარდატეხას აქვს ადგილი ბურჟუაზიულ წრეების განწყობილებაშიაც კი, რომელნიც დაინტერესდენ რუსეთის სამეურნეო აღორძინებით და პირობას იძლევიან დახმარება გაუწიონ მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტს.

ფულის ტრიალის მდგომარეობა

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი, 3 აგვისტო. „პრავდა"ს მეთაურში „ფულის ტრიალის მდგომარეობა", ამხ. პრეობრაჟენსკი სწერს: „აპრილში—მაისში დაიწყო მანეთის კურსის დაცემა და ეს დაცემა დღემდის გრძელდება. ოქროს კურსი დროებით განმტკიცდა. საქონლის ინდექსი სწრაფად მიდის ზევით. მანეთის კურსის დაცემის მიზეზია ბაზრის ტევადობის შემცირება. მთელ ფულის მასის ღირებულება ეცემა.

მაგრამ დაცემა წინ უსწრებს ემისიას. ამის მიზეზია არა ბაზრის ტევადობის შემცირება, არამედ ის, რომ საბჭოთა მანეთიანს ბაზრიდან დევნის ჩერვონეცი. ეს სჩანს საბჭოთა მანეთიანის ტრიალის სიჩქარიდან და აგრეთვე მის ხმარებაში ყოფნის ყოველმხრივ შემცირებიდან. ყველა ცდილობს იქონიოს ჩერვონცები და არა მანეთები.

თუ ეს პროცესი გაგრძელდა აგვისტოშიც, ეს ნიშნავს, რომ მანათიანი იდევნება ხმარებიდან. როგორც კი გამოშვებული იქნება ჩერვონცები და ნახევარი ჩერვონცები, საბჭოთა მანეთიანი ან გადაიქცევა საბჭოთა ნიშნებათ ან სრულიად განიდევნება ხმარებიდან. მაშინ ჩვენ გვექნება ერთიანი ვალიუტა: ბანკნოტი (ჩერვონცი) გახდება საბჭოთა მანეთი.

კითხვა სდგას იმაში, იქნება ის მტკიცე თუ ცვალებად კურსიანი მანეთი. რომ ის გახდეს მტკიცე, საჭიროა ბიუჯეტის გაჯანსაღება, ემისიის საჭიროების მოსპობა.

დგება აგრეთვე კითხვა, რას უნდა ეყრდნობოდეს ახალი ვალიუტა. ახლა ჩერვონეცი მიექანება წინ საბჭოთა მანეთიანის ზურგზე, რომელიც მოიკოჭლებს და ეცემა, მაგრამ ის უნდა გადაჯდეს სხვა ცხენზე. მაგრამ რომელზე. ეს დიდი პრაქტიკული და თეორეტიული საკითხია. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ეკონომიური კავშირი გვაქვს მსოფლიო მეურნეობასთან, სადაც ღირებულების საზომს წარმოადგენს ოქრო. რომ დავეყრდნოთ მსოფლიო მეურნეობის ოქროს ბაზას, უნდა დავამყაროთ კავშირი ჩვენს ქაღალდის ვალიუტასა და სხვა ქვეყნების მტკიცე ვალიუტას შორის."

ანტი-საბჭოთა პარტიების დაშლა.

ნაციონალ-დემოკრატების და რადიკალ-დემოკრატების დეკლარაცია

საქართველოს ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის ყოფ. ცენტრალურ კომიტეტის წევრთა დეკლარაცია

ნაციონალ-დემოკრატიული მოძრაობა ჩაისახა საქართველოში 1913-14 წლებში. აღმოცენდა იგი უმთავრესად სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდის მავნე გავლენისათვის წინააღმდეგობის მიზნით. ძირითადი პრობლემა, რომლის სწორ გადაწყვეტას ისახავდა თავის მიზნათ ეს მიმართულება, იყო ეროვნული პრობლემა, არ ეთანხმებოდენ რა მენშევიზმს, რომელიც თანახმათ მათი მთავარ დებულებისა, რომ პროლეტარიატი მოკლებულია სამშობლოს, თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში მიდრეკ ეროვნულ თვითმმართველობის უარყოფამდე და მით ფაქტიურად ხელს უწყობდა მეფურ ბიუროკრატიულ მთავრობის ცენტრალისტურ პოლიტიკას; ნაციონალ-დემოკრატები გამოვიდენ დეცენტრალიზაციის აუცილებლობისა და ქართველ ხალხისათვის ნაციონალურ ავტონომიის მინიჭების იდეისათვის დასაცავად. ქართველ ხალხის რეალური ინტერესები ნაციონალ დემოკრატების აზრით, მოითხოვდენ პოლიტიკურ მმართვა-გამგეობის მრავალ დიდმნიშვნელოვან ფუნქციების დაუყოვნებლივ გადმოტანას რუსეთის ცენტრიდან პერიფერიებში ეროვნულ თვითმმართველობის უფლებათა გარეშე ცენტრალისტურ მონარქიულ წესწყობილების პირობებში ქართველი ხალხის რაიმე განვითარება მომავალში შეუძლებლათ იყო ცნობილი.

ეწინააღმდეგებოდენ რა სოციალ-დემოკრატებს ცენტრალისტურ პოლიტიკურ წყობილების შეფასებაში, ნაც.-დემოკრატები არ ეთანხმებოდენ მათ აგრეთვე თავის მიზნისათვის ბრძოლის საშვალებათა არჩევის საკითხში. მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატებს თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი რევოლიუციონურ ჯგუფებში გადაჰქონდათ, ნაც.-დემოკრატები უარყოფითად აფასებდენ არა ლეგალურ მუშაობის შედეგებს, რომლის უნარს ისინი როგორც უმთავრესათ, ზომიერათ განწყობილნი,—მოკლებული იყვნენ, აფრთხილებდენ მასებს უკანონო გამოსვლების წინააღმდეგ და უდიდეს ყურადღებას თავისას კულტურულ მუშაობას აქცევდენ.

მიღწევა ქართველ ერის ავტონომიისა პროპაგანდის კანონიერ საშვალებათა გამოყენებით—აი როგორი იყო ნაც.-დემოკრატიულ მოძრაობის ბუნება. აქედან გამომდინარეობდა პარტიის ყველა თავისებური თვისებები და, პირველათ ყოვლისა, უარყოფა ისეთ პრობლემების დაყენებისა, რომელთა გადაწყვეტა საქართველოს ცხოვრების არსებულ სუბიექტიურ პირობების გარეშე უტოპიზმს ნიშანს იღებდა. ასეთი იყო, სხვათა შორის, სოციალიზმის პრობლემაც, სთვლიდენ რა თავის თავს რეალისტებათ, ნაციონალ დემოკრატები ხელს იღებდენ სოციალისტურ წესწყობილების, როგორც საბოლოო იდეალის, შეფასებაზე. დადებითი მოვლენაა სოციალიზმი თუ უარყოფითი, ნაც.-დემოკრატების აზრით, ეს საკითხი ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქართულ სინამდვილისათვის არ წარმოადგენდა რეალურ პრობლემას, რომლის პრაქტიკული გადაწყვეტა შესაძლებელი იყო გამხდარიყო ქართველ ხალხის სხვა და სხვა მტრულ პარტიებათ დაყოფის საფუძვლათ. ნაციონალ-დემოკრატები ამტკიცებენ, რომ საქართველოს ჯერ არ გაუვლია ისტორიულ განვითარების ის საფეხური, როდესაც კერძო საკუთრების უფლება საზოგადოებრივ ცხოვრების შემდეგი მიმდინარეობას დამაფერხებელ [illegible] ნაშთათ იქცევა. საქართველოს სინამდვილის რეალურ პირობებში კერძო საკუთრების უფლება არის დიადი ფაქტორი საზოგადოებრივ პროგრესისა—აი როგორი იყო ნ.-დ-ების მიმართება კერძო მფლობელობის უფლების პრინციპისადმი. ამიტომაც არავითარ შეუსაბამობას არ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ნაც.-დემ. პარტიაში შედიოდენ აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც წინეთ სოციალისტურ პარტიებს ეკუთვნოდენ.

რევოლიუციამ დიდი ცვლილება გამოიწვია პარტიათა მდგომარეობაში. მრავალი პარტიები მან აიძულა შეეცვალა თავისი პროგრამა და, ზოგჯერ, სრულიადაც უკუეგდო იგი. კერძოთ, ქართველი მენშევიკები—დამცველნი რუსეთისაგან აბსოლიუტურ დამოკიდებულების იდეისა მაშინ, როდესაც რუსეთში აღმართული იყო მეფის ტახტი, ხელისუფლებისადმი მისწრაფების წყალობით გააფთრებულ სეპარატისტებათ იქცენ იმ დროს, როდესაც სათავეს მოექცენ კომუნისტები, რომლებმაც მსოფლიოს აუწყეს, რომ ისინი მოითხოვენ ერთა სრულ პოლიტიკურ განთავისუფლებას. საკვირველი არ არის ამიტომ ის, რომ ბევრი ნაციონალ-დემოკრატი უარყოფითად აფასებდა მენშევიკურ პარტიის პოლიტიკას.

სწორედ ამ გარემოების ძალით, თუმცა რევოლიუციამ პირველ წელშივე ნაც.-დ-ების იდეალი სინამდვილეთ აქცია, ნაც.-დემოკრატიული მოძრაობა არა თუ არ შესუსტებულა, არამედ გაძლიერდა: ნაც. დ-ების პოლიტიკურ მუშაობის მთელი შინაარსი 1917—1921 წ. წ-ის ხანაში ამოიწურებოდა ბრძოლით მენშევიკურ მთავრობისა და მისი მართვა-გამგეობის გამოუცდელ, არა შორსმჭვრეტელ და არა კანონზომიერ მეთოდის წინააღმდეგ, რომლებიც ფართო ასპარეზს უშლიდენ ხელისუფლების ბოროტმოქმედებებს. მაგრამ ნ.-დები მეტად სუსტნი იყვნენ მენშევიკურ ხელისუფლების ჩამოგდებისათვის. ეს საქმე **შეასრულეს კომუნისტებმა, რომლებმაც აღადგინეს საქართველოს პოლიტიკური კავშირი რუსეთის ხალხთან და გამოჰგლიჯეს ჩვენი ქვეყანა ანტანტის გავლენისაგან, რომელსაც ხელთ ეპყრა მენშევიკური მთავრობის სადავე საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებით საქართველოში ნაც. დემ. პარტიამ დაჰკარგა რეალური მნიშვნელობა, ვინაიდან ამ პარტიის ძირითადმა მიზანმა, საქართველოს ეროვნულმა თვითგამორკვევამ. მოიპოვა მტკიცე საფუძველი საბჭოთა ხელისუფლების სისტემაში.**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამდე ნ.-დემ. პარტიის ცენტრ: კომიტეტმა სამაზრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანადასწრებით 1921 წლის 15-სა და 16 მარტის სხდომებზე ქალ. ბათომში დაადგინა:

1. დაშლილ იქნას ნაც.-დემ. პარტია, 2. წინადადება მიეცეს პარტიის ყოფილ წევრებს არ დასტოვონ სამშობლო და, 3. უარყოფილ იქნეს პოლიტიკური მუშაობა, დაცულ იქნეს ლოიალური პოზიცია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და დაიწყოს პრაქტიკული მუშაობა მშრომელ ქვეყნის კულტურულ და ეკონომიურ აღდგენისათვის. აღნიშნული რეზოლიუცია გადაეცა ბათომში რევ. კომიტეტის თავმჯდომარეს [illegible] ქავთარაძეს.

მაგრამ ვინაიდან ეს რეზოლიუცია გამოქვეყნებული არ იყო, პარტიის ლიკვიდაციამ არ მიიღო კანონიერი ფორმა კონფერენციის მოწვევის სახით და პარტიის მრავალ წევრს არ შეეძლო მიეღო ცნობა ნაც.-დემ. პარტიის ამ დადგენილების შესახებ. შესაძლებელია, რომ ნაწილობრივათ ამითაც აიხსნას ნაციონალ-დემოკრ. პარტიის ცალკე წევრთა შემდეგი საბჭოთა საწინააღმდეგო გამოსვლები.

მაგრამ აწ დაყოვნება შეუძლებელია ქართველ ხალხის კეთილდღეობის მიზნით. საქმე იმაშია, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მომქმედი ნაც. დემ. პარტიის ცენტრი, ანტისაბჭოთა ქვეყნების გავლენის მეოხებით, ცდილობდა დაებრკოლებინა მშვიდობიან ცხოვრების დაწყება საქართველოში. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ინტერვენციის მოლოდინში მან მიიღო მთელი რიგი ზომებისა, რომლებიც მიმართული იყვნენ ინტერვენციისათვის ქართველ ხალხის მომზადებისაკენ, რაც გამოიხატა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტის შესუსტების ცდაში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ უსაფუძვლო ხმების გავრცელებაში, და სამხედრო ორგანიზაციებისა და ბანდებისათვის ხელის გამართვაში. საჭიროთ ვრაცხთ რა ხალხის კეთილდღეობისათვის ბოლო მოეღოს ამას, ჩვენ ნაც.-დემ. პარტიის წევრები ვდგამთ გადამწყვეტ ნაბიჯს ნაც.-დემ. პარტიის სრულ ლიკვიდაციისაკენ კონფერენციის მოწვევის სახით.

გოთუა პართენ ალექსანდრესძე, ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე, მაჭავარიანი იოსებ, დანელია სერგო, ჯავახიშვილი დიმიტრი, წვერავა ნიკოლოზ, ჯავახიშვილი მ. ს., თადგირიძე ნ. კ., თორაძე ა. დ., ამირაჯიბი გიორგი, კეცხოველი ნიკოლოზ, მგალობლიშვილი ვ., ჯანელიძე გ.—სარევიზიო კომისიის წევრი, ნიჟარაძე ა.—სარევიზიო კომისიის წევრი

რადიკალ-დემოკრატიულ პარტიის განცხადება

უერთდებით რა ნაც.-დემ. პარტიის გადაწყვეტილებას საბჭოთა ხელისუფლებისწინააღმდეგ ყოველივე არა ლეგალურ მუშაობის შეწყვეტის შესახებ და ვსთვლით რა ამას საზიანოთ ქართველ ხალხისათვის, ჩვენ რადიკალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლები გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის ც. კ—ში ამით ოფიციალურათ ვადასტურებთ გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის ც. კ—ის დაშლას.

ალექსანდრე ახმეტელი, კონსტანტინე ტყავაძე, ალ. ლორთქიფანიძე.

1923 წლის 5 აგვისტო
ქ. ტფილისი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას" ცნობები)

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ამხ. რაკოვსკის დანიშვნის გარშემო.

მორიგი პროვოკაცია.

ლონდონი. 3 აგვისტო. „მორნინგ პოსტი" (ყველაზე უფრო რეაქციონური გაზეთია ინგლისში) სენსაციურ ცნობას აქვეყნებს: თითქოს ამხ. რაკოვსკის მიერ სრ. უკრაინის ცენტრ. აღმ. კომიტეტის სხდომაზე თავის გამოსათხოვარ სიტყვაში ეთქვას, რომ ის მიემგზავრება ინგლისში არა ვაჭრობის მიზნით, არამედ იქაურ მდგომარეობისათვის თვალყურის სადევნებლათ, რათა ხელსაყრელი მომენტი გამოყენებულ იქნეს მე-3 ინტერნაციონალის ჩარევისათვის. „მორნინგ პოსტს" მოჰყავს აგრეთვე ციტატა „იზვესტია"-ს რეცენზიიდან რაკოვსკის წიგნაკის „ინგლისი და რუსეთი"-ს შესახებ და აღნიშნავს, რომ წიგნი შეიცავს ენერგიულ აგიტაციას ინგლისის წინააღმდეგ. გაზეთი ათავებს კითხვით: „რა აზრი ქონდა თეირანიდან შუმიაცკისა და რასკოლნიკოვის გამოწვევას თუ ინგლისის მთავრობა თანხმდება მიიღოს ლონდონში რაკოვსკი?"

შიშის ზარი თემთა პალატაში.

ლონდონი. 3 აგვისტო. თემთა პალატაში კონსერვატორთა წარმომადგენლის შეკითხვაზე, იყო თუ არა რაკოვსკი გადასახლებული საფრანგეთიდან ომის დროს მოკავშირეთა წინააღმდეგ აგიტაციისათვის, და არის თუ არა რაკოვსკი პასუხისმგებელი უკრაინაში თეთრგვარდიელების ამოჟლეტისათვის, მაკნეილმა განაცხადა რომ მთავრობამ ამ ფაქტების შესახებ არაფერი იცის, მაგრამ თუ აღმოჩნდა, რომ რაკოვსკი თავის დანიშნულებას არ აკმაყოფილებს, ეს საკითხი გადასინჯული იქნება.

კითხვაზე—იღებდა მონაწილეობას თუ არა რაკოვსკი ან ვინმე სავაჭრო წარმომადგენლობის პასუხისმგებელ პირთაგანი ლონდონში მომხდარ გაფიცვაში, მაკ-ნეილმა უპასუხა, რომ მას არ აქვს ამის შესახებ ცნობები. კენკორტიმ, ვეჯვუდიმ და ლანსბერიმ პროტესტი განაცხადეს ამ შეკითხვების წინააღმდეგ, ვინაიდან უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები არ შეიძლება იყვნენ ამგვარ შეკითხვების ობიექტები. დანარჩენ შეკითხვებზე რაკოვსკის შესახებ მაკ-ნეილმა განაცხადა, რომ ის მიმართავდა პალატის თავმჯდომარეს თხოვნით, რომ წესრიგისკენ მოეწოდებია შემკითხველები იმ შემთხვევაში, რომ რაკოვსკის დიპლომატიური მდგომარეობა ქონოდეს, მაგრამ იგი ასეთ თანამდებობას ჯერ მოკლებულია.

ამხ. რაკოვსკის გამგზავრება ინგლისში გადადებულია.

მოსკოვი. 4 აგვისტო. ინგლისის წარმომადგენლის მოადგილემ მოსკოვში, პიტერსმა, განუცხადა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ინგლის-ამერიკის საქმეთა ქვე-განყოფილების გამგეს, რომ რაკოვსკისათვის გაცემულ ვიზის ვადა გაგრძელებულია, ვინაიდან ინგლისის მთავრობას სურს გამოარკვიოს „მორნინ პოსტ"-ის მიერ მოყვანილი ცნობა რაკოვსკის სიტყვის შესახებ, რომელშიაც, გაზეთის ცნობით, რაკოვსკი თავს ესხმის ინგლისს, და გაეცნოს რაკოვსკის ბროშიურას—„ინგლისი და რუსეთი".

პიტერსს ამაზე უპასუხეს, რომ რაკოვსკის ასეთი სიტყვა არ წარმოუთქვამს, ხოლო რაკოვსკის ბროშიურა წარმოადგენს მის სიტყვას, წარმოთქმულს ინგლის-რუსეთის ურთიერთობის კრიზისის დროს ინგლისის მინისტრთა პოლემიკურ გამოსვლების საწინააღმდეგოთ გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, მაშინ როდესაც ინგლისის მთავრობა ესოდენ „მზრუნველობას" იჩენს რაკოვსკის პიროვნების მიმართ, საბჭოთა მთავრობა მუდამ ხელს უწყობდა ინგლისის წარმომადგენლობას მოსკოვში, თუმცა ზოგიერთი თანამშრომლები ინგლისის მისიისა, მაგალითად, ხოჯსონი, პიტერსი და სხვანი, ინგლისის წარმომადგენლები იყვნენ კოლჩაკსა და დენიკინთან.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენლის პროტესტი.

პეკინი, 3 აგვისტო. ჩინეთში მყოფმა ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა იმის გამო, რომ ჩინეთის მთავრობამ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ნაწილი გადასცა ჩინეთის ადმინისტრაციის განკარგულებაში, მაშინ როდესაც ეს ადგილი რუსეთს ქონდა შეძენილი რკინის გზის საჭიროებისათვის. **სრულუფლებიანი წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ საკითხები აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ შეიძლება გადასწყდეს მოლაპარაკების საშუალებით და მოითხოვს გაცემულ განკარგულების გაუქმებას.**

რუსეთი და ფინეთი

პეტროგრადი. 3 აგვის. ფინეთში მყოფმა ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, ამხ. ჩერნიხმა, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ფინეთის საზღვარზე კარანტინის გამართვის გამო განაცხადა: „ერთი თვის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლება მოითხოვდა ამ კარანტინის გაუქმებას, თანაც აფრთხილებდა, რომ ეს ზომა გამოიწვევს ამ კარანტინის გამოყენებას ფინეთის მოქალაქეთათვის, რომელნიც რუსეთში იმყოფებიან. რადგანაც ფინეთის მთავრობა პასუხს არ აძლევდა ს. ს. რ. კ—ს, კარანტინი ჩვენც დავაწესეთ. ფინეთის საქმიან წრეებს უდიდესი უკმაყოფილება ემჩნევათ, რადგანაც კარანტინის დაარსება შეაფერხებს სავაჭრო ნავოსნობას.

იაპონია მოელის ოფიციალურ მოლაპარაკებას.

ესალმებიან ამხ. კარახანს.

ტოკიო. 3 აგვისტო. იაპონიის პრესა მიესალმება ამხ. კარახანის დანიშვნას შორეულ აღმოსავლეთში და იმედს გამოსთქვამს, რომ პეკინში მცირე ხნით ყოფნის შემდეგ კარახანი ჩამოვა ტოკიოში ოფიციალურ მოლაპარაკების გასამართავათ.

იაპონიის პრესა ოფიციალურ მოლაპარაკების შესახებ.

ტოკიო 3 აგვისტო. იაპონიის პრესა გამოსთქვამს სურვილს, რომ ოფიციალური კონფერენცია მალე შესდგეს. „ციუგაი სიოგის სიმპო" (ტოკიოს სავაჭრო წრეების ორგანო) აუცილებლათ სთვლის ნიკოლაევის საკითხის შეთანხმებულ გადაწყვეტას და რუსეთის მიერ ძველ ხელშეკრულებათა და ვალების ცნობას.

„ძი-ძი-სიმპო" (მთავრობის მომხრე ორგანო) აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობამ უნდა გადასდგას პირველი ნაბიჯი ოფიციალურ მოლაპარაკების დაწყებისაკენ. „ტოკიო-ოსაკი-სინბუნ" (მონარქიული გაზეთია) კიცხავს იაპონიის პოლიტიკას იოფესა და კავაკამის მოლაპარაკების საკითხში და ამბობს, რომ მთავრობამ მოლაპარაკება ვაჭრობათ გადააქცია.

უდიერი აგიტაცია.

ოდესა. 3 აგვისტო. რუსეთის პურის გამოჩენამ სტამბოლის ბაზარზე ფურორი მოახდინა. საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლობას გარს ეხვევიან პურის შეძენის მსურველი სხვა და სხვა ფირმების წარმომადგენლები.

მეგობრული საჩუქარი.

რიგა 3 აგვისტო. სასოფლო მეურნეობის იარაღთა ჩეხო-სლოვაკიის კომპანიამ, რომელიც მონაწილეობდა რიგას გამოფენაზე, გადასცა ს. ს. რ. კ—ის სავაჭრო წარმომადგენლობას ლატვიაში სამი სათესი მანქანა რუსეთში გასაგზავნათ.

ავსტრია ანტიბოლშევიკურ აგიტაციას ეწევა.

ვენა. 3 აგვისტო. ავსტრიის ცენზურამ აკრძალა კინო-სურათის „საბჭოთა რუსეთის 5 წლის თავის" დადგმა. ცენზურის აზრით სურათის დადგმას შეუძლია მაყურებელ საზოგადოებაში უთანხმოება და წესრიგის დარღვევა გამოიწვიოს. იმავე დროს ვენაში ნება დართულია ანტიბოლშევიკურ სურათის—„სიკვდილის ცეკვის" დადგმა.

გერმანიის ამბები

კამპანია კუნოს წინააღმდეგ.

ბერლინი. 7 აგვისტო. გერმანიის რადიკალურმა გაზეთებმა დაიწყეს ენერგიული კამპანია კუნოს წინააღმდეგ. მას აბრალებენ პოლიტიკურ უნიადაგობას, რაც, კერძოთ, იმაში გამოიხატა, რომ ჯერაც მიღებული არ არის ზომები გერმანიის ერთა ლიგაში შესვლისათვის, აგრეთვე იმაშიაც, რომ მაკლენბურგში არჩევნებზე მან საშვალება მისცა კომუნისტებს სოციალისტების ადგილები დაეკავათ.

მარკა ეცემა.

ბერლინი. 7 აგვისტო. მარკამ მიაღწია დღეს 2 მილიონ დოლარზე. რეიხსბანკი მსხვილ კუპიურებს უშვებს.

უმუშევართა დემონსტრაცია საქსონიაში.

ბერლინი 7 აგვისტო. დრეზდენში უმუშევრებმა გამართეს დემონსტრაცია სურსათზე ფასების აწევის გამო. დატუსაღებულია მრავალი დემონსტრანტი.

საკონტრიბუციო საკითხი

გერმანია უკმაყოფილოა ინგლისის პოზიციით.

ბერლინი. 7 აგვისტო. გერმანიის პრესას გული გაუტეხა ბალდვინის სიტყვამ რურის საკითხზე. ზოგი გაზეთები გააფთრებით ილანძღებიან ინგლისის წინააღმდეგ სეპარატიულ გამოსვლაზე უარის გამო. ბურჟუაზიული გაზეთები ამტკიცებს, რომ პასიური წინააღმდეგობის მოსპობა შეიძლება რურის ევაკუაციის გარანტიის [illegible] საერთაშორისო კონტროლს გერმანიის ფინანსებზე მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს არ დაარღვევს გერმანიის სუვერენობას. მხოლოდ „ფოსიშე ცაიტუნგ“-ი ([illegible] ბურჟუაზიის ორგანო) აღიარებს, რომ საჭიროა [illegible] მოლაპარაკება საფრანგეთთან.

გერმანიაში უიმედობაა გამეფებული. მთავრობა ვერ პოულობს შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალ გზას.

იტალიის პასუხი ინგლისის ნოტაზე.

რომი. 7 აგვისტო. გაზ. „იდეა ნაციონალე“ (ნაციონალისტების ორგანო) იუწყება: იტალიის პასუხი ინგლისის ნოტაზე, თუმცა ინგლისის პოზიციას ეხება, მაგრამ მაინც ამტკიცებს, რომ საჭიროა გერმანიის დაკავებული ოკუპაციის გაძლიერება.

ინგლისის მთავრობის განზრახვა.

რომი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ თუმცა საკონტრიბუციო საკითხის შესახებ ჯერ არ არის მიღებული არავითარი საბოლოო დადგენილება, ინგლისის მთავრობა, როგორც ამბობენ, მაინც გაუგზავნის პასუხს საფრანგეთისა და ბელგიის ნოტებზე და გამოაქვეყნებს საბუთებს, რომლებიც ეხება საფრანგეთ ბელგიასა და ინგლისის შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას. ფიქრობენ, რომ ინგლისის მთავრობას არ აქვს განზრახული საფრანგეთთან მოლაპარაკების შეწყვეტა. გერმანიისათვის სეპარატიულ პასუხის გაგზავნის შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ არსებობს. ავტორიტეტულ წრეებში კიდევ არსებობს იმედი საერთო მოკავშირეთაშორისო პასუხის გაგზავნისა.

რა სურს ბელგიას.

ლონდონი. ინგლისის პრესის რადიო იუწყება, რომ ბელგია მზათ არის დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიასთან მხოლოდ მთელი რიგი პირობების დაცვით. ის მოითხოვს: 1) გაუქმებულ იქნას ყველა დადგენილებები პასიურ წინააღმდეგობის შესახებ, რომლებიც გამოცემული იყუნენ გერმანიის მთავრობის მიერ 11 იანვრის შემდეგ, 2) პასიურ წინააღმდეგობის გაუქმების შემდეგ ბელგია გადასწყვეტს საკითხს საფრანგეთთან შეთანხმებით შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა იქნეს შეცვლილი ოკუპაციის წესები, რათა ის იყოს მიმართული საკონტრიბუციო გადასახადის არა დაუყოვნებლივ მიღებაზე, არამედ გერმანიის მიერ საზოგადოთ თავის ვალდებულებათა შესრულებაზე, 3) საოკუპაციო რაიონების ევაკუაცია იწარმოებს თანდათან კონტრიბუციის გადახდის თანაბრათ. 4) გერმანიაში დაწესდება მოკავშირეთა საფინანსო კონტროლი. ამ პირობების მიღების შემთხვევაში ბელგია თანახმაა გაეგზავნოს გერმანიას მოკავშირეთა საერთო ნოტა პასუხათ გერმანიის 7 ივნისის წინადადებისა.

იტალიის მთავრობის საკითხი.

ლონდონი. 4 აგვისტო. გუშინ ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროში მიიღეს იტალიის მთავრობის ნოტა ინგლისის პროექტის გამო. იტალიის ნოტაში აღნიშნულია იტალიის სრული თანხმობა ინგლისის პოლიტიკასთან და ნოტა წინადადებას იძლევა ხელახლა იქნას განხილული გერმანიის გადახდის უნარიანობა. იტალიას, ისევე როგორც ინგლისს, სურს, რათა გერმანიამ გადაიხადოს რაც შეიძლება დიდი კონტრიბუცია. იტალია უერთდება აგრეთვე ინგლისის სურვილს, რათა მოკავშირეებმა მიაღწიონ საბოლოო ფინანსიურ შეთანხმებას ევროპის აღდგენის მიზნით. იტალიის ნოტის დასკვნაში ნათქვამია, რომ იტალიის მთავრობა მოკავშირეთა დავალიანების საკითხს სთვლის განზრახულ ფინანსიურ შეთანხმების განუყოფელ ნაწილად.

ინგლისის პროექტი გამოქვეყნებული იქნება.

ლონდონი. 4 აგვისტო. ამ დღეებში მოსალოდნელია გერმანიისადმი ინგლისის მთავრობის პასუხის პროექტის გამოქვეყნება. მიუხედავათ მთავრობის დეკლარაციისა პროექტის გამოქვეყნებას მოუთმენლათ მოელიან.

სეპარატიულ ნოტის გაგზავნა.

ლონდონი. 4 აგვისტო. ინგლისის პრესის აზრით, ინგლისის სეპარატიული პასუხი გერმანიისადმი არ იქნება გაგზავნილი დაუყოვნებლივ, როგორიც არ იქნენ მომავალი ამბები. პასუხი გაგზავნილი იქნება მხოლოთ მაშინ, როდესაც მისი პროექტი გამოქვეყნდება და ინგლისის თვალსაზრისი საბოლოოთ გამომუშავდება.

ოკუპაციის გარშემო

გერმანიის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს პასიურ წინააღმდეგობის გაგრძელებას.

ბერლინი, 7 აგვისტო. თუმცა ბალდვინის სიტყვამ იმედი გაუცრუვა, მაგრამ გერმანიის მთავრობა და გაზეთები მაინც მოითხოვენ პასიურ წინააღმდეგობის გაგრძელებას, რომელიც მოსახლეობის მოქანცვისა გამო, შეუძლებელია ფინანსიური დახმარების გარეშე ამის გამო განზრახულია ახალი ოქროს სესხის გამოშვება.

გაფიცვით იმუქრებიან.

ბერლინი, 7 აგვისტო. რურის ბევრ მაღაროებში მუშები პასიურ წინააღმდეგობას განაგრძობენ, რადგანაც ხელფასის მოთხოვნილება არ დაუკმაყოფილეს მუშები გაფიცვით იმუქრებიან. მოსახლეობის გაბოროტება, უფულობისა და უსანოვაგობისა გამო, მთელს ოლქს მოედო. კიოლნში გაფიცულია სტამბის მუშები, რაც აფერხებს ფულის ნიშნების ბეჭდვას.

შეუთანხმებელთა ბანაკში

განხეთქილება სოც.-დემოკრატიული პარტიაში აუცილებელია.

ბერლინი. 3 აგვისტო. მასის მღელვარების ზეგავლენით, უფსკრული მემარჯვენე და მემარცხენე სოციალ-დემოკრატიის შორის თანდათან ღრმავდება. განხეთქილება აუცილებელი ხდება. განხეთქილების პირველ ნიშნად უნდა ჩაითვალოს სოციალ დემოკრატიულ ოპოზიციის ვეიმარის კონფერენცია, ყოფილ კომუნისტის ლევის და ყოფილ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატის როზენფელდის მეთაურობით. ვეიმარის კონფერენციამ წამოაყენა შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) კოალიციის უარყოფა, თუ სოციალ დემოკრატიის მთავრობაში უმრავლესობა არ ეყოლება. 2) კუნოს მთავრობის დამხობა, 3) **კომუნისტებთან თანამშრომლობა და კომუნისტებთან ერთად პროლეტარული თავდაცვის რაზმების მოწყობა და 4) პარტეიტაგის დაუყოვნებელი მოწვევა.**

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმმა ეს მოთხოვნილება უარჰყო.

„ფორვერტსი“-ი (სოციალ-დემოკრატიის ორგანო) პარტიას აფრთხილებს განხეთქილებისაგან. **სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის წევრი კრისპინი „ფორვერტს“-ში მოითხოვს რეიხსტაგის დათხოვნას და სოციალისტური მთავრობის შექმნას.** „ფორვერტს“-ის რედაქტორი შტამპფერი და აგრეთვე გერმან მიულლერი, ამის წინააღმდეგი არიან და კოალიციის პოლიტიკას იცავენ. „ფორვერტს“-ი ერიდება ოპოზიციის წინააღმდეგ მკაცრ გამოსვლას.

სხვადასხვა ამბები

იტალია

მემარცხენეობისათვის.

რომი. 4 აგვისტო სოციალისტური პარტიის დირექციამ პარტიიდან გამორიცხა რედაქტორები „წითელი ფურცლისა“ ბუფფონი, მალატესტა, ლაფფი, რიბოლდი და გერატი.

ფინეთი

ფინეთის მუშათა პარტიის დევნა.

ჰელსინგფორსი. 5 აგვისტო. ფინეთის პრესის ოფიციალური ბიურო, ოფიციალურ და საგამოძიებლო მასალებზე დაყრდნობით, იუწყება, რომ ფინეთის მუშათა პარტია წარმოადგენს მე-3 ინტერნაციონალის მუშათა კომუნისტურ პარტიას და მუშაობს მისი დირექტივების მიხედვით აქაო [illegible] ებს, ამის გამო დააპატიმრეს სეიმის მუშათა ფრაქციის წევრნი და აგრეთვე პარტიულ ორგანოების რედაქტორები. საქმე გადაეცემა სათანადო უმაღლეს სასამართლოს.

პირში ბურთსა სჩრიან.

ჰელსინგფორსი. 5 აგვისტო. „ჰელსინკინ სანომატ“-ი (ოფიციალური ორგანო) იუწყება რომ დაიკეტა მუშათა პარტიის შემდეგი გაზეთები: **„ფინეთის მუშა“, „კოჩიენ კანსა“, ულეაბორგში—„ფოლკ ბლადეტ“-ი ვაზაში „ხამატუოლა“ კუოპიოში და სხვა გაზეთების სტამბებს კონფისკაცია გაუკეთეს.** ჰელსინგფორსში ხელთ იგდეს საოლქო პარტიულ სამართველოს არქივები. „ნუვუდ სტატს ბლადეტ“-ის გადმოცემით (კონსერვატორთა ორგანოა), დატუსაღებულ

ტიული პარტია, ამ დატუსაღებათა გამო, იწვევს საგანგებო სასწრაფო კრებას სეიმის ფრაქციის მონაწილეობით.

ჩეხო სლოვაკია

ცდილობენ დაუახლოვდნენ რუსეთს.

პრაგა. 5 აგვისტო. „ტრიბუნის“ ცნობით ჩეხო სლოვაკიის წარმომადგენელი სამხრეთ-სლავიაში ლაზარევიჩი დანიშნულია რუსეთში მიმავალ სპეციალურ მისიის თავმჯდომარეთ ჩეხოსლოვაკიასა და რუსეთის შორის პოლიტიკურ და კულტურულ დამოკიდებულებათა დამყარების მიზნით.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

კომუნისტებმა გაიმარჯვეს:

ბერლინი, 5 ივლისი. ფეიქართა პროფკავშირის კონფერენციაზე არჩევნებში კომუნისტებმა გაიმარჯვეს ბერლინში, ხემნიცში, პირნესა და ნე ხეენში, ეს გარემოება, მელითონეთა არჩევნებში გამარჯვებასთან დაკავშირებით, მოწმობს, რომ გერმანიის პროლეტარიატი მარცხნივ

რკინის გზელთა გაფიცვა.

ჰელსინგფორსი. 3 აგვისტო. რადგან რკინისგზელებმა დაადგინეს, გამოაცხადონ 24 საათიანი გაფიცვა, სამხრეთ-სლავიის მინისტრთა კაბინეტმა გადასწყვიტა მიჰმართოს 1920 წლის კანონს გაფიცვათა შესახებ, რომელშიაც გათვალისწინებულია რკინისგზელთა მობილიზაცია. უკეთუ გაფიცვა პოლიტიკურ ხასიათს მიიღებს მთავრობა იმუქრება, რომ იგი მიმარ-

საჰაერო ფლოტის კვირეულისათვის



4 აგვისტოდან **12 აგვისტომდე**

საჰაერო ფლოტის კვირეულია.

ყველაფერი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ

ოთხშაბათი, 8 აგვისტო: კავკასიის ცალკე არმიის შიმშილობის შედეგებთან მებრძოლი კომიტ.—საჰაერო ფლოტს. საღამო წარმოდგენა „დაისების ბაღში“.

ჰაეროდრომზე საჰაერო ფლოტის აღლუმი.

ხუთშაბათი, 9 აგვისტო: პროფკავშირთა საბჭოს კლუბი—„წითელი არწივები“. მუშტაიდში მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.

პარასკევი, 10 აგვისტო: ნაძალადევი „წითელი არწივები“. ავლაბრის კლუბში—მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.

შაბათი, 11 აგვისტო: ავლაბრის კლუბი—„წითელი არწივები“. „ახალ წრეში“ **დიდი სეირნობა.**

კვირა 12 აგვისტო: მუშტაიდი—„წითელი არწივები“. ქართველ წითელარმიელთა კლუბში—**სეირნობა, წარმოდგენა, კაბარე.**

კავკასიის ცალკე არმია—საჰაერო ფლოტს.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია

აცხადებს, რომ 6 აგვისტოდან ჰაეროდრომზე მოხდება

ს ნიმუშო გაფრენა

მუშებისა და ექსკურსიებისათვის. დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

ყველა საკითხებში, რომელიც დაკავშირებულია ექსკურსიებთან, უნდა მიმართონ ტფილისის კომიტეტში ამხ. ნაზაროვს და საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2-ე რაიკომს. ტელეფონი 17—38 ან 2—46.

ცენტრალური კომისია.

საჰაერო ფლოტის კვირეულის განმავლობაში მუშტაიდის ბაღში, ქაშუეთის და ვაგზლის მოედნებზე და ყოფილ სამხედრო ტაძრის გალავანში

აჩვენებენ ჰაეროპლანებს

სათანადო განმარტებებით.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია.

ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. რესპუბლიკის ყველა მუშას და გლეხებს

ამხანაგებო!

მას შემდეგ, რაც ადამიანში გაიღვიძა შემოქმედებითმა შეგნებამ, ის ოცნებობს ფრთების შესახებ. ახალგაზრდა კაცობრიობა, რომელიც მისტიურ შიშს გრძნობდა ბუნების შეუცნობელ ძალების წინაშე, ცრუმორწმუნეობით ფრენის თვისებებს აკუთვნებდა საიდუმლო ძალების ზღაპრულ მატარებელთ. ხალხის ფანტაზია ხატავდა თვითმფრინავ ნოხებს, ფრთიან ცხენებს და სხვა. მაგრამ ადამიანის ამაყი შეგნება ვერ ურიგდება საიდუმლოებას და გაბედულად კვალავს გზას სინათლისა და გონიერებისაკენ ლეგენდებსა და ცრუმორწმუნოებათა შორის: წარსულის მრავალ საიდუმლოებებს უჭირავს უჩინარი ადგილი ფიზიკის და ბუნებისმეტყველების დაწყებით სახელმძღვანელოებში.

საჭირო იყო ხალხის ფართო მასების ძალ-ღონით ამოეღოთ მიწიდან მილიონი ტონა ნახშირი და მადანი. საჭირო იყო მუშების ხელით შექმნილიყო მძიმე ინდუსტრია და მისი პირმშო შვილი შინაგანი წვის მსუბუქი მამოძრავებელი, რათა ბოლოს და ბოლოს, მეოცე საუკუნის დასაწყისში ახალი თვითმფრინავი აფრენილიყო ჰაერში და პროპელერის ხმაურობით მიეპყრო კაცობრიობის ყურადღება.

ამ მომენტიდან თავს იჩენენ აღმომჩენლები, კონსტრუქტორები, ავიატორები და მოტორისტები მსოფლიოს ყველა ხალხთა შორის და ავიაციის სფეროში იწყება გამალებული პროგრესი, აქ სავსებით გამოაშკარავდა მასების კოლექტიური შემოქმედება და ხალხთა სხვა და სხვა წარმომადგენელთა გენიოსობა და გმირობა.

უკვე უკანასკნელ მსოფლიო ომის დროს ავიაციამ ითამაშა უდიდესი როლი, უმთავრესად როგორც მტრის დაზვერვის საშუალებამ. მაგრამ ომის შემდეგაც ავიაცია განაგრძობს განვითარებას საოცარი სისწრაფით და დღეს ადამიანს დამორჩილებული ჰყავს ათეული ათასი ფოლადის მფრინველები.

თვითმფრინავით სარგებლობა დღითი-დღე ფართო ხასიათს იღებს: შეიძლება ითქვას, რომ ჰაეროპლანი არის ერთსა და იმავე დროს საშინელი განმანადგურებელი იარაღიც მომავალ ომში და კულტურის და ხალხთა ურთიერთობის ძლიერი ფაქტორიც.

ყველა ერები დღეს ანვითარებენ თავიანთ სამხედრო ძალებს და ყოველ მხრივ აფართოებენ თვითმფრინავებით სარგებლობას სამეურნეო მიზნებით, აწყობენ რა პირველ რიგში საფოსტო-სამგზავრო მიმოსვლას.

მსოფლიო მუშათა მოძრაობის ერთ ერთი წინამძღოლთაგანი ამხ. ტროცკი, საბჭოთა სამხედრო ძალების ხელმძღვანელი ამბობს:

„ავიაცია არის თავის ძლიერებაში თანდათანობითი მზარდი იარაღი იმპერიალიზმისა“. საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირი, მხედველობაში იღებს რა ახალი ძალების ძლიერებას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ავიაციის ყოველმხრივ განვითარებას და ამხ. ტროცკის პირით, საბჭოთა ხელისუფლება ამბობს: „ავაშენოთ ავიაცია, სამეურნეო, კულტურული და სამხედრო მიზნებით-ავიაცია მშრომელთა და ჩაგრულთა“.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით არის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მდებარე მსოფლიო გზების კვანძი დიდძალი ბუნებრივი სიმდიდრით და ამავე დროს გზების სუსტად განვითარების პირობებში, უნდა გახდეს ავიაციის ფართო სარგებლობის და განვითარების ასპარეზად.

ამ დიდი მნიშვნელობის საქმეს ამიერ-კავკასიაში საძირკველი უნდა ჩაუყაროს სახალხო კომისარიატების და სახელმწიფო ორგანოების ინიციატივით დაარსებულმა სააქციონერო საზოგადოებამ „ამიერ-კავკასიის სამოქალაქო ავიაციამ“ („ზაკავია“), რომელიც ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული წესდების ძალით უკვე შეუდგა მუშაობას. პირველ რიგში განზრახულია საჰაერო მიმოსვლის, მგზავრების გადაყვანის და ფოსტის გადაზიდვის მოწყობა ტფილის-ბაქოს ხაზზე მომავალში კი საჰაერო ხაზით, შეერთებული იქნებიან ამიერ-კავკასიის ყველა მსხვილი ცენტრები.

„ამიერ-კავკასიის სამოქ. ავიაციის“ საზოგადოების წესდებით, ძირითადი თანხა განისაზღვრება 1.000.000 მან. ოქროთი ანუ 16500 ჩერვონეცით, ეს თანხა გაყოფილია 100.000 აქციათ, თვითეული აქცია უდრის 1,65 ჩერვონეცს (ანუ 10 მანეთს). აქციების მნიშვნელოვანი რიცხვები უკვე შეიძინეს ჩვენმა სახელმწიფოებრივმა და სამეურნეო ორგანოებმა (კავკასიის ცალკე არმიამ, ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა, სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ, აზერბეიჯანის ნავთის სამმართველომ, რკინის გზათა სამმართველომ, მუღანის საშელიორაციო სამმართველომ, ცენტრო კავშირმა, ბევრმა სახ. კომისარიატებმა, ტფილისის აღმასკომმა და სხვ.). მაგრამ ამხ. ტროცკიმ სთქვა: „სანამ ზეცაში აფრინდებოდეს, ავიაცია მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს დედა-მიწას ე. ი. მასას, საჭიროა, რათა ქალაქის და სოფლის მშრომელი დაუახლოვდეს თვითმფრინავს, გაეცნოს მას და დაინახოს მასში მომავლის დიდი იარაღი...

თორემ თვითმფრინავი მთლიანად მის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული“-ო.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭო „ამიერ-კავკასიის სამოქ. ავიაციის“ საზოგადოების გამგეობასთან ერთად მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგებო, მშრომელთა სისწორით გაგებულ ინტერესების სასარგებლოთ, ყოველ მხრივ ხელი შეუწყოთ სამოქალაქო ავიაციის განვითარებას. შეიძინეთ ამიერ-კავკასიის სამოქ. ავიაციის“ აქციები. საზოგადოების სააქციონერო თანხაში თქვენ მიერ შეტანილი წვლილი გახდის თქვენ იმ წარმოების მონაწილედ, რომელიც, საერთოთ და განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში, არის მძლავრი განვითარების საშუალება.

ჩვენი ძალა, ჩვენი შეკავშირება მდგომარეობს პროფესიონალურ გაერთიანებაში და ჩვენი მიზნების შეგნებაში. ამ ნიადაგზე „ამიერ-კავკასიის სამოქალაქო ავიაციის“ საზოგადოება გააფართოვებს მუშაობას სამოქალაქო ავიაციის შესაქმნელად.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ნაშრომი კაპეიკებით შედგება დიდი თანხა, რომლითაც ჩვენ შევიძენთ „ამიერ-კავკასიის სამოქ. ავიაციის“ აქციებს.

მათ ნაცვლად ჩვენ გვეყოლება მთელი გუნდი ფოლადის ფრინველთა, რომელნიც დასერავენ რა ამიერ-კავკასიის ცას, კულტურას და ცოდნას შეიტანებენ მასებში და ამავე დროს იქნებიან ჩვენი მტრების მრისხანე მომგერიებელნი.

სრ. რუს. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს წევრი **გინზბურგი.**

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მდივანი **ჯუღელი.**

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის საბჭოს თავმჯდომარე **ვაშაკიძე.**

„ამიერ კავკასიის სამოქალაქო ავიაციის“ სააქციონერო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ათარბეგოვი.

გამგეობის წევრები: **მუსეინოვი, შიუკოვი, ელენტი.**

მუშებო, შექმენით საჰაერო ფლოტ!

ავიაციის ტექნიკამ თავისი მუდმივი ევოლიუციით შექმნა საჰაერო ფლოტი, როგორც ძლიერი საბრძოლველი საშუალება.

ჯერ კიდევ ომის დროს წამოყენებულმა ლოზუნგებმა: **„გაიმარჯვებს ის, ვინც გაბატონებული იქნება ჰაერში“**—ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ყველა მებრძოლ არმიებში და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოებმა მოკლე ხნის განმავლობაში ააგუგუნეს ზარბაზნებით შერყეულ ჰაერში მრავალი ათასი შეიარაღებული თვითმფრინავები.

მობილიზაციით გაწვეულმა ავიომრეწველობამ მთელი თავისი ძალებ და საშუალებანი მიმართა ქვეყნის დაცვისაკენ;—ჰაერში გაბატონებისათვის ბრძოლაში გაფაციცებით ამუშავდნენ ავიო-ქარხნები: უმჯობესდებოდა ძველი და შენდებოდა ახალი თვითმფრინავები; იმოსებოდა ჯავშნით და იარაღდებოდა ტყვიისმფრქვევლებით და მსუბუქ ზარბაზნებით მექანიკური ფრინველები და აქ საზღვარი არ ჰქონდა შემოქმედებით მუშაობას. გამომგონების შეურყეველი ნებისყოფა და გაწვრთნილი ნიჭი გიგანტური ნაბიჯებით ამოძრავებდა წინ ავიაციის ტექნიკას. თვითმფრინავის სიძლიერე იზრდებოდა. თავისი ხარისხით სწრაფად სცვლიდა დრომოჭმულ ფორმებს და ხან ერთ და ხან მეორე მეომარ მხარეს უთმობდა ბატონობას და ინიციატივას.

თვითმფრინავის ამ უმაგალითო ევოლიუციას შედეგად მოჰყვა ის, რომ საჰაერო ფლოტი სამოქალაქო ომის დასაწყისში სუსტ და დამხმარე საშვალებიდან გადაიქცა შეიარაღებულ ძალის ერთ ერთ ელემენტად ხმელეთის და საზღვაო ძალასთან ერთად.

სამოქალაქო ომმა, არა ნაკლებ წარსულ იმპერიალისტური ომისა, ხელი შეუწყო ავიო ტექნიკის და მრეწველობის გიგანტურ ზრდას და დღეს ძნელად მოიპოვება ისეთი ქვეყანა, რომელსაც არ ჰყავდეს ძლიერი საჰაერო ფლოტი.

სამწუხაროთ ჩვენ მრავალი წლებით ჩამოვრჩით დასავლეთის ავიაციას.

მძიმე სამოქალაქო ომის წლებმა ძალიან შეაფერხა ავიო-ტექნიკის და მრეწველობის განვითარება და ჩაახშო ის დაწყებული საქმე, რომლის მოწამენიც ვიყავით ომამდე და ომის დროსაც.

სამოქალაქო ომის წლებში ჩვენ იძულებული ვიყავით გვეფრინა და დაგვეცვა ჰაერი ძველ, გაცვეთილ თვითმფრინავებით, რომელიც წარსულის უძლურ ნაშთებს წარმოადგენდა. ჩვენი ტექნიკური ჩამორჩენილობის კომპენსაციას ახდენდა ჩვენი მფრინავების შეურყეველი გამარჯვების სურვილი და პირადი გამბედაობა.

დღეს, როდესაც საფრანგეთს და ინგლისს თავიანთ საჰაერო ფლოტში მრავალი ათეული თვითმფრინავები ჰყავთ; როდესაც ინგლისმა, ავიო საშუალებათა დიდი ორგანიზაციის და რაოდენობის გამო, ცალკე სამინისტროდ გამოჰყო საჰაერო ფლოტი; როდესაც ამ ავიო-საშუალებათა 80 პრ. გადაეცა არმიას და ძველებურად უწევს მათ სამსახურს ხალხთა დაპყრობის და კულტურის დანგრევის საქმეში,—ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად უცქიროთ ამ მზადებას და დავმყაროთ ჩვენ მცირე საშუალებებს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ავიაცია არის დღეს იარაღის მთავარი სახე და რომ ხალხთა უახლოეს შეტაკების დროს იგი გადამწყვეტ როლს ითამაშებს. ამას დიდი ხანია გრძნობდენ ჩვენი მოწინააღმდეგენი და ამიტომ განუწყვეტლივ ანვითარებდენ ავიაციას ხმელეთის და საზღვაო შეიარაღების ხარჯზე, აფართოვებდენ რა ავიო-ნაწილებს გრანდიოზულ საბრძოლველ გაერთიანებებში.

ვაი იმ ქვეყანას, რომელიც თავის დროზე არ შეიძენს საკმაო ძლიერ საჰაერო ფლოტს.

1000 თანამედროვე თვითმფრინავთაგან შემდგარ ერთ რაზმს, რომელიც შეიარაღებული იქნება ყუმბარებით და ტყვიისმფრქვევლებით, ერთი დღის განმავლობაში შეუძლია გაანადგუროს ერთი დიდი სამრეწველო ქალაქი.

ასეულ მრავალ ადგილებიან თვითმფრინავს შეუძლიათ ჯარების ზურგში გადასხას მთელი არმია...

საჭირო არ არის კაცი იყოს სამხედრო პირი, რომ გაიგოს ამის მნიშვნელობა.

თანამედროვე თვითმფრინავი შეიარაღებულია 30 ტყვიისმფრქვევლით, რომელიც წუთში 45000 ტყვიას ისვრის; მას მიაქვს 120-ფუთიანი ყუმბარეები, რომელსაც შეუძლია ქალაქში რამდენიმე კვარტალის აფეთქება და ზღვაში დიდი დრედნოუტის დაძირვა. თანამედროვე ჰაეროპლანის კაბინა იტევს რამდენიმე ათეულ შეიარაღებულ ადამიანს.

ამგვარად, ათასი თვითმფრინავი, 30 000 ტყვისმფრქვევლით გაისვრის წუთში 40,000000 ზე მეტ ტყვიას. ეს ჰაეროპლანები გადაიტანებენ ათას ყუმბარას, ე. ი. 120.000 ფუთ ასაფეთქებელ ნივთიერებას და რომელ ადგილსაც უნდათ გადაიყვანენ 40 ათას კაცს.

ჩვენთვის უცხოა დაპყრობითი გეგმები და მოვუწოდებთ ყველას მშვიდობიანობისაკენ, მაგრამ ხალხებს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ განიარაღება, პირიქით ისინი სჭედავენ სულ ახალ-ახალ იარაღს ადამიანების ამოსაჟლეტად და გასანადგურებლად. საჭიროა ვემზადოთ ჩვენც, რათა ღირსეულად შევხვდეთ მოსალოდნელ მტრებს.

ჩვენ განკარგულებაში მყოფი საშუალებები საკმარისი არაა, რომ მოვიგერიოთ ანტანტის თვითმფრინავები, ვინაიდან ომის წლებში ისინი ათასობით თავს დაესხმიან ჩვენს ქალაქებს.

აქედან დასკვნა ერთად-ერთია: **ჩვენთვის საჭიროა ძლიერი საჰაერო ფლოტი, იგი უნდა შეიქმნეს, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.**

მუშებო, შექმენით საჰაერო ფლოტი!

ა. შიუკოვი.

საავიაციო ტექნიკა

საბრუნებელი ანგარი ჰაეროპლანებისათვის.

ყველაზე უფრო საშიში მომენტი საჰაერო ფრენაში—ეს არის მიწაზე დაშვების,—რადგან ჰაერის მიმართულებანი, რომელნიც ძლიერდებიან მიწის ზედა პირთან და კარგავენ თავის წონასწორობას, ხშირათ ისეთი სიძლიერით აიტაცებენ საჰაერო გემს, რომ აუცილებელი ხდება აპარატის დაშავება და დამსხვრევაც კი. ამერიკის ინჟინერმა ჯენ ძესონმა შეადგინა საბრუნებელი ანგარის პროექტი ცეპპელინებისათვის, რადგან სწორეთ ამ აპარატებზე, რომელნიც უფრო მჩატე არიან, ვიდრე ჰაერი, განსაკუთრებით მავნებლად მოქმედებენ მოპირდაპირე ქარები. ეს ანგარი ბრუნავს როგორც რკინისგზის სატრიალებელი წრე და შეუძლია ყოველთვის მიიღოს ცეპპელინი მისთვის სასარგებლო ქარის მხრიდან.

ჰაეროპლანი ღამე ფრენისათვის.

პარიზ—ლონდონის საჰაერო ხაზზე შემოღებულია ჰაეროპლანების ღამით ფრენა მგზავრებით ლამანშის მიმართულებით. დიდი ხანი არ არის ამ მიმართულებით დაიწყო მოქმედება ღამის ფრენისათვის სპეციალურათ მოწყობილმა აპარატმა „ფარმან-გოლიათ“-მა, რომელსაც 13 მგზავრის გადაყვანა შეუძლია. მკრთალი განათების გარდა მგზავრების მოსათავსებელ ნაწილში, აპარატს აქვს წითელი და მწვანე ელექტრონის ნიშნები ფრთებზე და მკაფიო სინათლე კუდზე; ამას გარდა მგზავრების სადგომის ქვეშ აპარატს აქვს ელექტრონის ორი ძლიერი პროჟექტორი, რომელნიც გზას უნათებენ მფრინავს ფრენის დროს. ელექტრონის ენერგია სინათლის ამ მოწყობილებათათვის მუშავდება ორ დინამო-მანქანის მიერ რომელნიც მოძრაობაში მოყავს ქარის პატარა წისქვილებს; ამ უკანასკნელებს კი აბრუნებს ჰაერის გაკვეთა ჰაეროპლანის ფრენის დროს.

აპარატ ბიპლანის ქვეითა ფრთების ბოლოებზე მოწყობილია 4 მაგნიის ლამპარი, რომელთაც ფრინავი აჩაღებს ელექტრონის ნაპერწკალით ჩამოშვების დროს, რის გამოც მიწაზე დაშვება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

პარიზის მუშები წითელ საჰაერო ფლოტს

გაზეთი „ჰუმანიტე“ 22 ივლისის ნომერში იტყობინება, რომ ერთმა ამხანაგმა გადასცა რედაქციას 150 ფრანკთან ერთად წერილი, რომელიც ეგზავნება გაზეთ „იზვესტია“-ს პარიზის ერთერთ გარეუბნის პატარა წარმოების მუშებისაგან:

გაზეთი „იზვესტია“-ს რედაქციას.

ძვირფასო ამხანაგებო! საფრანგეთისა და ინგლისის გაცხარებულმა მისწრაფებამ ავიოფლოტის შეიარაღებისათვის, ერთის მხრივ, საკუთარ საჰაერო ფლოტის შექმნისაკენ მიმართულ თქვენმა ენერგიულმა ღონისძიებამ—მეორე მხრივ,—მიგვიყვანეს ჩვენ იმ აზრამდის, რომ შეგვეწირა ჩვენი დღიური ხელფასის ნახევარი იმ ფონდის სასარგებლოდ, რომელსაც თქვენ ამ მიზნისათვის აგროვებთ—ნავთის კომპანიების კანდიდატის—კერზონის ულტიმატუმამდის ჩვენ ვცხოვრობდით იმ ილლიუზიებით, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია, რომელიც მშვენივრათ უღებს ალღოს საერთაშორისო პროლეტარიატის სიმპატიებს მუშათა და გლეხთა რუსეთისადმი, ვერ გაბედავდა თავდასხმა მოეხდინა ამ ქვეყანაზე. კერზონის ულტიმატუმმა დაგვარწმუნა ჩვენ იმაში, რომ, იმის და მიხედვით, თუ როგორ მტკიცდება დღითი-დღე საბჭოთა რუსეთი, ის, იმავე დროს, თითქოს უფრო და უფრო მძიმე გირათ ხდება, რომელიც საერთაშორისო რეაქციის ფეხებზეა მიბმული, შებორკილი თავის შეტევაში პროლეტარიატზე ის რეაქცია ყველა შესაძლებელ ღონისძიებებს ხმარობს, რომ თავი დაიხსნას ამ მდგომარეობიდან.

ამრიგათ, თუ ჩვენ გადავწყვიტეთ შევიტანოთ ჩვენი წვლილი, რომ მონაწილეობა მივიღოთ რუსეთის თავდაცვის გაძლიერებაში, ჩვენ, მაშასადამე, დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ამით ვიცავთ ჩვენს საკუთარ არსებობას.

იმის იმედით, რომ ჩვენი გადაწყვეტილება სხვა წარმოების მუშებსაც აიძულებს ასევე მოიქცნენ. და რომ რუსეთის საჰაერო ფლოტი ჩქარა ყველაზე უფრო დიდი გახდება მთელს ქვეყანაზე, ჩვენ გაზ. „ჰუმანიტე“-ს საშუალებით გიგზავნით 12×12,50, ე. ი. 150 ფრანკს.

რევოლიუციონური სალამით პარიზის გარეუბნის პატარა წარმოების მთელი პერსონალი.

21 ივლისი 1923 წ.

2 მილიარდი მ. საჰაერო ფლოტისათვის

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

საჰაერო ფლოტის კამპანიამ დიდი გამოძახილი ჰპოვა ფოთის მშრომელ მასაში.

ყველა დიდი სიხარულით ეგებებოდა ამ მეტად დიდ მოვლენას, საბჭოთა რესპუბლიკებში საჰაერო ფლოტის შექმნას; მისი ფონდის გასაძლიერებლად არავის არ შურდა თავისი წვლილის გაღება.

ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ფოთის ნავსადგურის გადამტვირთველთა კავშირის მუშები, რომლებმაც განსაკუთრებული ერთსულოვნება გამოიჩინეს ამ საქმეში.

პირველ ივლისს მომხდარ მასიურ კრებაზე, სადაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბ. გოგია და ვრცლად შეეხო სამოქალაქო საჰაერო ფლოტის შექმნის აუცილებლობას და მის მნიშვნელობას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისთვის, გადამტვირთველ კავშირის მუშებმა წინადადება შემოიტანეს, რომ ხსენებული კავშირი საჰაერო ფლოტის ფონდის გასაძლიერებლად ერთდროულ დახმარების სახით სდებს 2.000 000.000 მ. (2 მილიარდ მანეთს). ეს წინადადება ერთხმად ზღვა ტაშით იქნა მიღებული.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ, როდესაც ამხანაგი მუშები დიდი შრომით შეძენილ კაპეიკებს სრულიად შეგნებულად სწირავენ ამ დიდ საქმეს, მათ უკვე ესმით ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საჰაერო ფლოტს საბჭოთა ფედერაციისათვის, თუ რა დიდი როლი შეუძლია ითამაშოს მან როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო ფრონტის გამაგრება-მოგვარების საქმეში.

ამ დღეებშიც სხვა რამეებშიაც გატარდება საჰაერო ფლოტის კამპანიები და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ისინიც აუცილებლად წაბაძავენ გადამტვირთველთა კავშირის მუშებს მაგალითს და ამით ხელს შეუწყობენ ამ მეტად სერიოზულ საკითხის მოგვარებას.

გაუმარჯოს სამოქალაქო წითელ საჰაერო ფლოტს.

ქ. ფოთი. **შ. ჯალაღანია.**

საბჭოთა კავშირში

რუსეთი.

ჩერვონცების ტირაჟის ზრდა

მოსკოვი. 3 აგვის. ივლისის განმავლობაში ს. ს. რ. კ. ფარგლებში ჩერვონცების ტირაჟი 3,900,000 ჩერვონცით გაიზარდა და არსებულ რაოდენობასთან ერთად სულ შეადგენს თანხას 11,200,000. ამასთან დაკავშირებით იზრდება სახელმწიფო ბანკის აქტივიც, რომელიც მისი უზრუნველმყოფელია. 1-ლ აგვისტოსათვის ჩერვონცების ტირაჟი უზრუნველყოფილია 60 პროც. ძვირფასი ლითონებით და უცხოეთის მტკიცე ვალიუტით, ხოლო 40 პროცენტი კი საბანკო უზრუნველყოფით.

გერმანელ მუშების დარჩენა თავისუფალ რუსეთში

ოდესა. 2 აგვის. აქ ჩამოსულ გერმანიის გემს „ჰოჰენგოთენ“-ს ჰამბურგში დაბრუნების საშუალებას არა აქვს, რადგანაც 9 გერმანელმა კაჩეგარმა უარი განაცხადა გერმანიაში დაბრუნებაზე,

კომიტეტს, დაეთმო მისთვის 9 კაჩეგარი (მესაჩხრეკე). თხოვნა შეუსრულეს.

უკრაინა.

უკრაინის სახელმწიფო აპარატის გაეროვნება

ხარკოვი 3 აგვის. სრულიად უკრაინის აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ დეკრეტი გამოსცეს—უკრაინის სახელმწიფო დაწესებულებათა გაეროვნების შესახებ.

ერთი წლის განმავლობაში გაეროვნდება უკრაინის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტი, სახალხო კომისართა საბჭო და სახალხო კომისარიატთა უმრავლესობა. სახელმწიფო სამსახურში მიღებულმა ყველამ უნდა იცოდეს უკრაინული ენა. ამჟამად სამსახურში მყოფებმა, თუ არ იციან, ერთი წლის განმავლობაში უნდა შეისწავლონ უკრაინული ენა. ოფიციალურ მიწერ-მოწერაში უპირატესობა უკრაინულ ენას ენიჭება რუსული

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი.

მიწადმოქმედების კომისარიატის მოვალეობა.

სოხუმი. 7 აგვისტო. ივლისის განმავლობაში მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მოღვაწეობა გამოიხატა ძალების ეკონომიაში. თანამშრომელთა საერთო რიცხვი 250 დან შემცირებულ იქნა 157-დე. გაძლიერებული იქნა ტექნიკური და აგრონომიული ნაწილი.

დამტკიცდა ნიხრი ხე-ტყეზე, შემუშავდა წესდება ნადირობის შესახებ. მიწადმოქმედების განყოფილებამ ადმინისტრატიული წესით განიხილა რამდენიმე საჩივარი გლეხთა საზოგადოებისა და გლეხებისა სატრიალებელ

ლოები სამეურნეო წესზე გადაიყვანეს.

მიწადმოქმედების კომისარიატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საგამოფენო კომიტეტს, რომელმაც სავსებით შეასრულა ნავარაუდევი გეგმა ექსპონატებისა.

საპატიმროებში.

სოხუმი. 7 აგვისტო. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით, სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სოხუმისა და მაზრის საპატიმროთა და სატუსაღო სახლების სახელწოდების შეცვლის პროექტი.

კურსები.

სოხუმი. 7 აგვისტო. აგვისტოს 10-ს სახალხო განათლების კომისარიატი სოხუმში ხსნის მოკლევადიან

პარტიული ცხოვრება

ქ. ჭიათურა

ვლისს ქ. ჭიათურაში შესდგა ნის სამაზრო პარტკომის პლე- გაფართოვებული სხდომა, რო- ც დაესწრენ გარდა პარტკომის ებისა, აგრეთვე პ|მ. ამხანაგე- ის წესრიგში იდგა ფრიად ვნელოვანი საკითხები.

ველად მოხსენება გააკეთა მოქ. ჯაფარიძემ საქართველოს ისტო- ლ სიძველეთა დაცვის შესახებ რესპუბლიკაში. მან თავის მოხ- ებაში აღნიშნა, რომ საბჭოთა ხე- უფლება დიდ ყურადღებას აქცევს მწიფოს სიმდიდრეს, რომელსაც ენს მადნები, მთები თავის ხე- მინერალური წყლები და სხვა. ელმწიფო სიმდიდრეთა შორის ერთ მნიშვნელოვან ადგილს კუთვნებს ის აგრეთვე ისტორიულ ძველეებს, რის გამო ენერგიულ მუ- ობას აწარმოებს მის შეკრებისათ- და დაცვისათვის. ამ მიზნით სა- რთველოს საბჭოთა მთავრობამ შე- ლო თავისი მოძმე რუსეთიდან და- ბრუნებია ისტორიული სიძველენი ტანილი მეთვრამეტე და მეცხრამე- საუკუნოების განმავლობაში, რო- ის ოცა ვაგონი უკვე მოვიდა თბი- ისში, მანვე აღნიშნა ქ. ქუთაისში უზეუმის გახსნა და სხვა.

მოხსენებელმა რაიონიდან ჩამოსულ ამხანაგების საყურადღებოთ განაცხადა, ამ იმ მონასტრების დაცვას, რომლე- იც არიან ისტორიული მნიშვნე- ობის, უნდა მიექცეს სერიოზული ყუ- რადღება და ასეთები კი შორაპნის მაზრაში შემდეგია: ჯრუჭის, კაცხის, ვიძევის, საჯავახოს და უბისის. ამათ მოველი ადგილი უკავიათ გელათის მონასტრის შემდეგ, როგორც ისტო- რიულ საგანძურთ.

პლენუმმა, იქონია რა მსჯელობა მოხსენების გარშემო, დაადგინა: მოხ- სენება მიღებულ იქნას ცნობად, მას- ზე აღიძრას შუამდგომლობა ს. კ. კ-თან, რათა მოგვეცეს უფლება მუზეუმო პუნქტის გახსნის შესახებ ჯრუჭის მონასტერში, სადაც მოგ- როვილ იქნება შორაპნის მაზრაში რსებულ ისტორიული ნივთები.

შემდეგ სოც.-უზრუნვ. განყ. გამგის ერო გაკეთებულ იქნა მოხსენება ლეხთა ურთიერთ დამხმარე კომი- ტეტების შექმნის შესახებ. მან ალად გააცნო დამსწრეთ ამ სფე- როში უკვე გაწეული მუშაობა, მიზა- და მნიშვნელობა ამ კომიტეტები- და აღნიშნა აგრეთვე ისიც, რომ კამპანიის ჩატარებას უნდა მიექცეს ძაკვრითი ხასიათი.

მოხსენება მიღებულ იქნა ცნობად და სასწრაფოდ ცხოვრებაში გასატარებლად.

აგრეთვე მიეცა წინადადება ყველა რაიკომებს, რომ მჭიდრო კავშირი დაიჭირონ სამაზრო საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების დამაარსებელ სამაზრო კომისიასთან და შეუდგენ ამ საქმის მოწესრიგებას.

უპარტიო გლეხთა კონფერენციების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. სუფსის პირელმა, რომელმაც ხაზი გაუსვა მათ მნიშვნელობას როგორც უპარტიო მასასთან დაკავშირების და დაახლოების საშუალებას.

ჩასატარებელ კონფერენციების ორგანიზაციულად მოწყობის გარშემო გაიმართა კამათი, რის შემდეგ დადგენილ იქნა: უპარტიო გლეხთა სარაიონო კონფერენციები ჩატარებულ იქნას ერთი თვის განმავლობაში, ნორმა ას კაცზე—ერთი, კონფერენციების დღის დანიშვნა მიენდოს რაიკომებს საპარტკომის პ|მ. მდივნის მიერ დამტკიცებულ დღის წესრიგით.

დღის წესრიგი სარაიონო კონფერენციისათვის შემდეგია: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) საბჭოთა აღმშენებლობა, 3) მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, 4) კოოპერაცია, 5) განათლების განყოფილების მუშაობის ანგარიში, 6) ჯანმრთელობის დაცვის საქმე, 7) მიწის ახალი რეფორმის ანგარიშება და ტყის დაცვის საქმე, 8) მოხსენება რელიგიის შესახებ.

დღის წესრიგი თემების საზოგადო კრებებისათვის: 1) მოხსენება უპარტიო გლეხთა კონფერენციების მნიშვნელობის შესახებ, 2) დელეგატების არჩევა რაიონულ კონფერენციაზე გასაგზავნად.

შემდეგ საკითხად იდგა—სოფელზე ქალაქის შეფობა, თუ როგორი ხელმძღვანელობა, დახმარება უნდა გაეწიოს სოფელს ქალაქის მიერ, რის გამო შექმნილ იქნა კომისია 7 კაცის შემადგენლობით, რომელშიაც შევიდნენ, როგორც საპარტკომის, ისე ამ საქმეში დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

პ|მ. მდივანმა მოწოდებით მიმართა რაიონების წარმომადგენლებს წითელი ფლოტის კამპანიის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობის მიღების შესახებ. მანვე გააცნო დამსწრეთ ინსტრუქცია ამის შესახებ.

ცეკადან მიღებულ ცირკულიარების და სხვა ადგილობრივი ხასიათის საკითხების განხილვის შემდეგ კრება დაიხურა.

იფ.

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

სად არის გამოსავალი

ერთ-ერთმა ყოფილმა მენშევიკმა, რომელიც შეუერთდა ყოფილ მენშევიკების ტფილისის საერთო საქალაქო კონფერენციის დეკლარაციას, ჩემთან საუბრის დროს სთქვა:

— იცით, რატომ მოვედი მე თქვენთან? მე სრულიადაც არ ვიზიარებ იმ აზრს, თითქოს ჩვენ, ყოფილი მენშევიკები, დამნაშავენი ვიყოთ ყველა მომაკვდინებელ ცოდვებში, როგორც ამას კომუნისტები ამბობენ. ჩემის აზრით, ჩვენ ზოგ რამეში, მართლაც მიგვიძღვის დანაშაულობა პროლეტარიატის წინაშე, მაგრამ საერთოთ, ჩვენი ელასტიური პოლიტიკის წყალობით, გადავარჩინეთ ქვეყანა განადგურებისა და სამოქალაქო ომისაგან, ხოლო ხალხი ფიზიკურ განადგურებასაგან. შესაძლოა სოციალისტური პრინციპები ყველგან სისწორით არ იყო დაცული ჩვენი მხრივ, მაგრამ იქ, სადაც ჩვენ ცუდათ გვიხსენიებენ, კარგიც უნდა სთქვან; მე მოვედი თქვენთან არა იმიტომ, რომ მეზიზღება ჩვენი ძველი ტაქტიკა; არა. დემოკრატიზმი საჭირო იყო დრომდე, მაგრამ დემოკრატიულ წესწყობილებას ბოლო უნდა მოღებოდა. მე მოვედი თქვენთან შემდეგი მოსაზრებით: 1) რუსეთის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ პროლეტარიატი სავსებით მომზადებულია ძალაუფლების ხელში ასაღებად. 2) სოციალისტების შორის წარმოებული ბრძოლა ასუსტებს რევოლიუციონურ ფრონტს. ნუ გავაშავებთ ერთმანეთს, ნუ მივაფურთხებთ წარსულს და ერთსულოვნად მოვკიდოთ ხელი ახალ საქმეს, დავსდგეთ პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე და საერთო ძალღონით გავამაგროთ ჩვენი ფრონტი.

მართლადაც... დავუშვათ ერთი წუთით, რომ მენშევიკური ტაქტიკა სწორი იყო, მაგრამ ეს აძლევს ვისმე უფლებას იბრძოლოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ?

დიდი დამსახურება რევოლიუციის წინაშე კიდევ არ აძლევს არც ერთ პარტიას იყოს რევოლიუციონურ მოძრაობის მესაჭეთ.

ამ შემთხვევაში „ნაროდოვოლცებსაც" არა ნაკლები დამსახურება მიუძღვით რევოლიუციის წინაშე, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, არავინ არ მიიღებს დღეს მათ ტაქტიკას.

იმ დამსახურებას და მსხვერპლს, რომელიც მიიტანეს რევოლიუციონურმა და სოციალისტურმა პარტიებმა რევოლიუციის სამსხვერპლოზე, თავის დროზე აღნიშნავს ისტორია თავის ფურცლებზე, დღეს კი ცხოვრება გვიკარნახებს ვიქონიოთ ერთიანი ფრონტი, რათა წინააღმდეგობა გაუწიოთ მსოფლიო ფაშიზმს

მაშასადამე, როგორ პლატფორმაზე შეიძლება მოვაწყოთ ეს ერთიანი რევოლიუციონური ფრონტი?

დემოკრატიული წესწყობილების პლატფორმამ უკვე განიცადა ფიასკო. აიღეთ მაგალითად გერმანია, სადაც სწორეთ მემარჯვენე სოციალისტების დაუდევრობით და დემოკრატიული წესწყობილების სისუსტით ძლიერდება ფაშიზმი და დღეს თუ არა, ხვალ გამეფდება იქ რეაქცია, თუ მანამდე პროლეტარიატმა ვერ მოასწრო ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

აიღეთ მაგალითად რუსეთი, სადაც თებერვლის რევოლიუციის შემდეგ რეაქცია დღითი-დღე ძლიერდებოდა და უსათუოთ გამეფდებოდა, რომ ოქტომბრის ამბებს არ მოესწრო.

რომ პროლეტარიატმა შესძლოს თავის ხელში ძალა-უფლების შენარჩუნება, რჩება მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის გზა,

ეხლა ისეთი დრო აღარ არის, როდესაც ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ელემენტები ჩვენთან ერთად მოდიოდენ საზოგადოებრივ ძალთა და სახალხო მოძრაობის განვითარების განსაზღვრულ მომენტამდე, ეს გზა უკვე განვლილია, ჩვენ მიერ და აქ დავშორდით ერთმანეთ მოსისხლე მტრებათ.

ეხლა საკითხი ასე სდგას:

— ვინ ვის დაამარცხებს? და მართლაც, ამ დროს სოციალისტებს შორის დაწყებულ ბრძოლას არ შეუძლია არ დაასუსტოს რევოლიუციონური ფრონტი.

რევოლიუციონური ფრონტის დასუსტება კი გამოიწვევს რეაქციის გაძლიერებას.

ვისთვის არის ეს საჭირო. განა ჩვენ ინტერესებს შეადგენს ეს?

ყოველმა ჩვენგანმა უნდა შეიგნოს ეს.

ამას უნდა ჩაუფიქრდეს ისინი, ვინც ჯერ კიდევ განაგრძობენ საბჭოთა ხელისუფლების მტერთა ბანაკში დარჩენას,

უნდა დავანებოთ თავი დავას იმის შესახებ, ვინ იყო მართალი წარსულში, ბოლშევიკები თუ მენშევიკები უმჯობესია დავაყენოთ საკითხი ნათლად და გარკვეულად:

— რა უნდა ვაკეთოთ დღეს?

ვეცოცხლებოთ ისე დემოკრატიულ წესწყობილებაზე, რომელსაც მიჰყავს რევოლიუცია ლიკვიდაციისაკენ და რომელმაც ყველა სოციალისტების თვალწინ განიცადა კრახი, ვსთხოვოთ ლორდებს, კერზონებს, მაკ-ნეილებს და სხვა კაციჭამია იმპერიალისტებს დაგვიცვან ჩვენ (შეუძლია მგელმა დაიცვას ცხვარი?), თუ ვიქონიოთ პროლეტარული ძალების იმედი და დავადგეთ პროლეტარიატის დიქტატურის გზაზე?

და თუ ასე გარკვევით დავაყენებთ საკითხს, ლოღიკა გვიკარნახებს, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია იმედი დაამყაროს არც ერთ ძალაზე, არც ერთ დემოკრატიაზე. მან თავისი ბედიღბალი თვითონ უნდა განაგოს.

რას მოგვცემს ჩვენ რევოლიუციონურ-მარქსისტული ელემენტების გაერთიანება, მენშევიკების გადასვლა პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე.

ძალიან ბევრს. უწინარეს ყოვლისა რევოლიუციონური წესწყობილება იმდენად ძლიერი იქნება, რომ მას უსათუოთ ანგარიშს გაუწევენ ყველა მოწინააღმდეგეთა ძალები.

გარდა ამისა, არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ჩვენ ღარიბი ვართ კულტურული ძალებით. მენშევიკების გადასვლა საბჭოთა პლატფორმაზე გაადიდებს პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიურ დარგებში მომზადებულ მუშაკთა რიცხვს, რითაც ქვეყანა ბევრს მოიგებს

ამ ჟამად ჩვენი ბრძოლით ერთმანეთს ვანადგურებთ. მაშინ კი საერთო ძალ-ღონით, პროლეტარიატის დიქტატურის დროშის ქვეშ ძალიან ბევრი და კარგი საქმეების გაკეთება შეგვეძლება!.

დღეს ზოგიერთი ყოფილი ჩემი ამხანაგები მეუბნებიან მე:

— ქართული ენა იდევნება დაწესებულებებიდან, ცოტაა იქ ქართული ელემენტები და სხვა.

ეს ცნობები, რა თქმა უნდა, სიმართლეს მოკლებულია, მაგრამ ასეც რომ იყოს, ვინ არის ამაში დამნაშავე?

— რა თქმა უნდა ისინი, ვისაც თავისი მტრული პოლიტიკით საბჭოთა ხელისუფლებისადმი, თავის მხარეზე ჰყავს ახალგაზრდობა, ინტელიგენცია და ვინც თანამშრომლობის ნაცვლად ოპოზიციაში უდგება საბჭოთა ხელისუფლებას.

საბჭოთა ხელისუფლების შეთვისება გაფანტავს იმ მძიმე ატმოსფერას, რომელიც იქმნება ანტისაბჭოთა გამოსვლების გამო.

ერთი სიტყვით, მხოლოდ ერთიან რევოლიუციონურ ფრონტს პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე შეუძლია დაამარცხოს რეაქცია და მოუტანოს ქვეყანას ეკონომიური და კულტურული აღორძინება. გამოსავალი მხოლოდ ამაშია.

და ვინც წინააღმდეგობას უწევს ამას, ის შეგნებულად თუ შეუგნებლად მტერია მუშათა კლასის—ხალხის და თავისი სამშობლოსიც კი, რომლის სახელსაც ჩვენ ხშირად ვფიცულობთ.

ა. რ—ძე.

მენშევიკების განცხადებანი

გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციას

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ განცხადებას თქვენ გაზეთის უახლოეს ნომერში.

მე მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრი საქვეყნოთ ვაცხადებ, რომ ამ პარტიაში მუშაობა მივატოვე იმ შეგნებით, რომ ეს პარტია არის წმინდა წყლის ბურჟუაზიის იდეოლოგიის დამცველი, რაც მათ საკმაოთ დაამტკიცეს თავის არსებობის დროს და განსაკუთრებით კი 1917 წლის შემდეგ, იმის შემდეგ, რაც მათ მიჰქარეს ევროპის სახელმწიფოებს რუსეთის რევოლიუციის ჩასაქრობად, არც კი რცხვენიათ და მაინც სოციალისტების სახელს ატარებენ, რომ მით უფრო ადვილად მოატყუონ ხალხი, მაგრამ ისინი ხალხმა საკმაოდ გაიცნო, ოსების აწიოკებისა, სვანეთის კანონ გარეშე გამოცხადებისა და სხვა ასეთი მარგალიტების შემდეგ. ამის შემდეგ შეგნებულად გამოვდივარ ამ პარტიიდან. ამიერიდან ვსდგევარ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და ხელს შევუწყობ მის აღმშენებლობითი მუშაობას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს მე 3 ინტერნაციონალს გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას და ერთა სოლიდარობას, გაუმარჯოს მუშათა გაერთიანებულ ფრონტს, ძირს მეორე ყვითელი ინტერნაციონალი და მათი სულის ჩამდგმელი მენშევიკები.

ლევან მამულაშვილი პ. წევრი 1905 წ.

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზ. უახლოეს ნომერში მოათავსოთ ეს წერილი.

1909 წლიდან მე ვირიცხებოდი სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) პარტიის წევრათ, და ვფიქრობდი ეს პარტია არის მუშების და გლეხების დამცველი. მაგრამ თურმე ვცდებოდი მწარეთ. მენშევიკები ბურჟუაზიის მოკავშირე დამცველი ყოფილა, და მუშების გლეხების მოღალატე გამყიდველი. ამიტომ თან და თან ეჭვი მებადებოდა მათ მოქმედებაში და გული გვიზიდავდა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ.

1921-დან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საქართველოში სრულიად გავწყვიტე კავშირი მენშევიკების პარტიასთან და ვიყავი უპარტიოთ.

ზიზღი მათ რომლებიც ჩვენ, მუშებს, გვატყუებდნენ, როგორც მუშა მოვალეთ ვთვლი ჩემს თავს ხელი შევუწყო საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც ერთად ერთ დამცველს მუშათა და გლეხთა ინტერესებისას.

გაუმარჯოს პროლეტარიატის ძალა-უფლებას, გაუმარჯოს მე-3 კომინტერნს.

მუშა ლავრენტი ძიძიგური.

მენშევიკურ „ახალგაზრდა მარქსისტებში"

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ამ ჩემს მცირე წერილს.

1917 წლიდან მე ვითვლებოდი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრად—ამ წრეში მე მოვხვდი მხოლოდ იმიტომ, რომ მქონდა სურვილი, როგორც ახალგაზრდა მოსწავლეს, შემესწავლა მარქსისტული მოძღვრება. მაგრამ მუშაობის პროცესში მე მივ დი იმ შეგნებამდე, რომ ეს ორგანიზაცია, რომელიც იმყოფებოდა მენშევიკების ხელმძღვანელობასა და კარნახის ქვეშ, ასცდა ნამდვილ მარქსიზმს და ნაცვლად იმისა, რომ ნათლად გაეშუქებია ნამდვილი მარქსის თეორია,—დაექანა ბურჟუაზიულ იდეოლოგიისაკენ. ასე და ამ რიგად იწამლებოდა მოზარდი ახალთაობა. მე კიდევ ადრე დამჩემდა კრიტიკულის თვალით ცქერა ამ გარემოებაზედ და 1921 წელს ჩამოვშორდი ამ წრეს. ამის შემდეგ ხელი მივყავ დამოუკიდებლათ თვითგანვითარებას. დღეს აშკარათ შემიძლია ვსთქვა საქვეყნოთ და ყველას გასაგონათ, რომ როგორც მენშევიკური პარტია, ისე მარქსისტთა ორგანიზაცია ასცდა ნამდვილ რევოლიუციონურ და სოციალისტურ გზას და ჩაეშვა ბურჟუაზიის იდეოლოგიის წუმპეში. ცხოვრებამ მათი ძირითადი ტაქტიკა: „დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ" სრულიად გააკოტრა. პირიქით ყველასათვის აშკარა შეიქმნა სალი შეხედულება: „პროლეტარიატის დიქტატურით სოციალიზმისაკენ".

პროლეტარიატის ნაწილი, რომელიც თავისი ბელადების მიერ შეცდომაში შეყვანილი იყო, დღეს დამდგარა ნამდვილ რევოლიუციონურ გზაზე. ხმა მათი არის ხმა ყოფ. პარტიისა და ხმა ხალხისა. **ჩვენც, ახალგაზრდები ვალდებულნი ვართ გამოვეხმაუროთ მათ მოწოდებას და გავსცეთ პასუხი. ჩემის მხრივ მე სავსებით ვიზიარებ იმ პლატფორმას, რომელსაც დასდგომია ჩვენი უფროსი ამხანაგები მუშები, ყოფილი მენშევიკები.**

ვიღებ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ნიშნავს რეაქციისა და ბურჟუაზიის ხელისშეწყობას, ერთხელ და სამუდამოთ გამოვდივარ ახალგაზრდა მარქს. ორგანიზაციიდგან, ვსწყვეტ როგორც მათთან, აგრეთვე მისი ხელმძღვანელ პარტიასთან ყოველგვარ კავშირს და მთელი ჩემი ძალითა და ღონით ხელს შევუწყობ მის აღმშენებლობითი მუშაობაში საბჭოთა ხელისუფლებას როგორც ერთად ერთის გამომხატველს მუშურ-გლეხურ ინტერესებისა, ამასთანავე მოვუწოდებ ჩემს ამხანაგებს თავი დააღწიონ სალათას ძილს და 2 ინტერნაციონალის ზეგავლენას და ხელიხელ ჩაკიდებული ვიდოდნენ მე-3 ინტერნაციონალთან ერთად სოციალიზმისაკენ.

გაუმარჯოს პროლეტარიატისა და ახალგაზრდობის გამოფხიზლებას, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას, მუშათა გაერთიანებულ ფრონტს, მე-3 ინტერნაციონალს და საბჭოთა ხელისუფლებას. ძირს მე-2, ყვითელი ინტერნაციონალი.

ლეონიდე გაჩუნია.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი თბილისში.

(7 აგვისტო).

ჩერვონცები	21.500
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.	1900
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	20,300
ჩეკები	19,000
დოლარი ეფექტ.	4,400
ჩეკები	3,850
ოსმალ. ქაღ. ლირა ეფექტ.	3050
იტალიური ლირა	150
ფრანგული ფრანკი	225
საბჭოთა ფულის ნიშ.	17

მუშკოოპის ფასები.

(7 აგვისტო).

პური გირ.—70 ათასი. ყუბანის ფქვილი გირ. 1 ხარ.—150 ათ., ნატეხი შაქარი—960 ათ., ერბო—960 კარაქი—1.400 ათ., ზეთი—450. თუშური ყველი—640. ჰოლანდიური ყველი 600 ათ., საპონი „ტოლლე" 550 ათ., მარმარილოს საპონი—450 ხორც. გ. ძროხის—450 ხანის ბრინჯი—300. კარტოფილი—70. ხახვი გირ.—125. წითელი ლობიო—25.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(7 აგვისტო)

პური 1 ხარ.—180-200, პური 2 ხარ. 90—100 ფქვილი 1ხარ.—230 ნატეხი შაქარი—1.300 ათასი. ფხვნილი შაქარი—1-მილ. 1100 ძროხის ხორცი—500—550 ერბო, 1.200 კარაქი—1 მილ. ზეთი—650. აგდაშის ბრინჯი—300. წითელი ლობიო—4—50. მწვანე ლობიო—80—100. პამიდორი—150. კართოფილი—70. კომბოსტო—70 ჭ.რხალი—70. ბადრიჯანი 20—40 ც. კვერცხი—10 ც. 550—600.

თბილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

(7 აგვისტოს).

ხორბალი'ა და პურის პროდუქტების ბაზარზე განწყობილება მტკიცეა. დანარჩენი უცვლელია.

სასოფლო მეურნეობა

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში

საქონლის მოშენების ქვეგანყოფილება.

(ივნისის ანგარიში.)

საქონლის მოშენების ქვეგანყოფილება აწარმოებდა შემდეგ მუშაობას, დაწყებულია თივის დამზადება თავიანთ სათიბებში, მზადდებოდა გაძლიერებული საკვების მარაგი ზამთრისათვის, შეკეთებულია შენობები.

ოლგინის ფერმა დაათვალიერეს ტფილისის პოლიტექნიკუმის და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებიც პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებდნენ.

ოლგინის ფერმაზე თავს უყრიდენ იმ საქონელს, რომელიც შეძენილი იყო სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.

ოლღინის ფერმა ყოველდღე აწვდის ტფილისის მცხოვრებთ 15 ფუთ რძეს

მოწეულია ხორბლისა და ქერის მოსავალი, საფუტკრეს მიემატა 40 ნაყარი სკა.

ციხის-ჯვრის ფერმა აწვდიდა აგარაკებს რძესა და რძის ნაწარმოებს.

ადმინისტრაციის მიერ მიღებულია ზომები ზამთარში საქონლის თივით უზრუნველსაყოფად. მიღებული ზომების შედეგად ფერმის განკარგულებაში დარჩა სათიბები კოდიანი და ცხრაწყარო.

სპეციალისტები და ინსტრუქტორები მესაქონლეობის დარგში აწარმოებდენ გაძლიერებულ მუშაობას მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის ექსპონატების დასამზადებლად.

ეძლეოდა დარიგებები და რჩევები მესაქონლეობა-მეურნეობის შესახებ, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულებათ და პირთ.

სპეციალისტ-ინსტრუქტორები ხელმძღვანელობდენ უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებთან პრაქტიკულ მუშაობას.

მეფუტკრეობა.

მეფუტკრეობის დარგში გაკეთებულია შემდეგი: 0 ივნისს ქ. ზესტაფონში მოწვეული იყო შორაპნის მაზრის მეფუტკრეთა ყრილობა და მოეწყო მეფუტკრეობის კოოპერატივი „ფუტკარი და სკა"-ს სახელწოდებით.

მიწად-მოქ. სახ. კომ.ის წარმომადგენლის სპეცის—ლაღიძის მიერ გაკეთებული იქნა სათანადო მოხსენება,

მიღებულია ზომები ტფილისის მაზრის პატარძეულის რაიონში მეფუტკრეობის კოოპერატივის დასაარსებლად.

გაბმულია კავშირი სენაკის მაზრის აგრონომთან რაციონალურ მეფუტკრეობის საქმეში ადგილობრივ მცხოვრებთათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით.

შედგენილია გეგმა სიღნაღის მაზრაში მეფუტკრეობის საქმის მოსაგვარებლად.

მოეწყო და დამთავრდა მეფუტკრეობის დარგში 1—1 ნახ. თვიანი კურსები ყვარელის რაიონში. კურსებს ხელმძღვანელობდა ინსტრუქტორი წულაძე. მანვე განაახლა და მოაწესრიგა საცხენისის სკოლასთან არსებული საფუტკრე.

დამთავრებულია სადახლოს სახალხო მამულის საფუტკრე.

აღმოეჩინა სათანადო დახმარება სხვა და სხვა სახელმწიფო საფუტკრეებს ფიჭისა, მავთულისა და მეფუტკრეობისათვის სხვა საჭირო ინვენტარის შესაძენად.

მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის გადათეთრებულია საქართველოს მეფუტკრეობის შესახებ პროგრამა, რომელიც შემუშავდა გამოფენ ს კომიტეტში; შემუშავებულია დამატებითი მასალები, რომლებიც გადაეგზავნა ცენტრალურ სასტატისტიკო სამმართველოს, შეგროვებულია ექსპონატები მეფუტკრეობის დარგში.

საერთოდ, მეფუტკრეობის დარგში სწარმოებდა სკებისა და მეფუტკრეობაში საჭირო ინვენტარის დამზადება,

პარლამენტარული დემოკრატია თუ პროლეტარიატის დიქტატურა*)

(ამხ. მარტინოვის მოხსენება ყოფ. მენშევიკების ტფილისის საქალაქო კონფერენციაზე).

სოციალისტური მოძრაობა მიდის წინ, ემყარება რა იგი თავის დამარცხებათა გამოცდილებას. II ინტერნაციონალის გაკოტრებამდე დიდის ხნით ადრე ეყრებოდა საძირკველი ახალ ინტერნაციონალს. ეს საძირკველი ჩაუყარეს მას ბოლშევიკებმა 90-იან წლების დასაწყისში, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არსებობდა „ისკრის" ორგანიზაცია: ამხანაგებო, მე თქვენ უკვე გითხარით, რომ ის პარტია, რომელიც თავის პოლიტიკის გეზს მიმართავს პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, თავის ორგანიზაციას და თავის ტაქტიკას სულ სხვა გვარად ამუშავებს ვიდრე ის პარტია, რომელიც ეგუება მშვიდობიან საპარლამენტო მუშაობას. 1900 წელს დაიწყო „ისკრის" ორგანიზაციის დაარსება; მის სათავეში იდგა ლენინი და მან ამ ორგანიზაციაში შემოიღო დიქტატურის და რკინის დისციპლინის რეჟიმი. რატომ, რისთვის? ჩვენ გვინდა რუსეთის რევოლიუციაში ჰეგემონია და ხელმძღვანელობაო, ამბობდა ლენინი. მაგრამ შეხედეთ, ჩვენს გარშემო: ჩვენს გარშემო გამოდიან კონკურენტები; შეხედეთ, როგორც დაიწყო პროლეტარიატის ორგანიზაცია, დაარსდენ ბურჟუაზიული პარტიებიც. ყველა ეს პარტიები სცდილობენ ჩვენს გაკრიტიკებას, ჩვენი მარქსისტული მოძღვრების მოსპობას, ბრძოლაში ჩვენი მთავარი იარაღის ხელიდან გამოგლეჯას და ჩვენს დაშლას. ჩვენ ეხლავე უნდა ავამაღლოთ ხმა და ვაცნობოთ ხალხს, რომ ჩვენ სოციალისტურ სამშობლოს საფრთხე მოელის. ჩვენ უნდა გამოუცხადოთ სასტიკი ომი ჩვენს იდეურ მოწინააღმდეგეებს ჩვენი პარტიის დაცვის მიზნით. იმისათვის, რომ ჩვენ პარტიაში ოპორტიუნიზმი არ შემოიჭრას, ჩვენ გახურებული შანთით უნდა ამოვსწვათ მთელი ის უფსკრული, რომელიც არსებობს ჩვენსა და სხვა ბურჟუაზიულ, დემოკრატიულ და განსაკუთრებით ოპორტიუნისტულ სოციალისტების შორის. ჩვენ ყოველწუთში ხელში უნდა გვეჭიროს იარაღი; ჩვენ არ უნდა მივსცეთ საშუალება ბურჟუაზიულ პარტიებს და მათ სოციალისტურ დამქაშებს დაგვიბლაგვონ ჩვენი იარაღი; ჩვენთვის საჭიროა მკაცრი რეჟიმი, დიქტატურის რეჟიმი. ჩვენ მივდივართ დაქანებული გზით უფსკრულის პირას; გარშემო მტრებია, მტრების მთელი მსოფლიო. ჩვენ მჭიდროთ და ერთსულოვნად გვიჭირავს ერთმანეთის ხელი და მივდივართ საშიშ ბრძოლაში. ამიტომ ჩვენ უნდა უკუვაგდოთ ისინი, ვინც გვებლაუჟება ჩვენ და ხელს უშლის ჩვენს წინსვლას.

ასეთი იყო დასაწყისი, ასეთი იყო იაკობინურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საძირკველის ჩაყრა. მე მახსოვს ჩვენი პარტიის ლონდონის ყრილობაზე 1903 წელს, როდესაც მე დავინახე სულიერი განწყობილება ამ ყრილობაზე, ვუთხარი ჩემს თავს—ჩვენ თითქოს ხელახლა განვიცდით საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ხანას; განწყობილება სწორედ ისეთია, როგორც იყო 1793 წელს, საფრანგეთის კონვენტის დროს, ეს თითქოს იმისვე განმეორება იყო; ხელახლა გაჩნდენ იაკობინელები. ისინი ეყრდნობიან დღეს არა წვრილ ბურჟუაზიას, არა წვრილ ბურჟუაზიულ თეორიას, არამედ პროლეტარიატს და მარქსისტულ თეორიას, მაგრამ თავისი ტაქტიკით, თავისი სულიერი განწყობილებით, ეს იგივე ძველი იაკობინელებია. ძველი „ისკრის" დროს 1903 წლამდე ლენინისტები სცდილობდენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში დიქტატურის რეჟიმის შემოღებას.

როდესაც გლეხთა მღელვარება დაიწყო, როდესაც სოფელში გლეხთა ბუნტი დაიწყო, როდესაც რუსეთის რევოლიუციამ დაიწყო ფართო სახალხო ხასიათი, ბოლშევიკებმა გადასდგეს მეორე ნაბიჯი და სთქვეს ჩვენი რევოლიუცია გაიმარჯვებს მაშინ, როდესაც დავამყარებთ პროლეტარიატის და გლეხების დიქტატურასო. ეს იმ დროს იყო ნათქვამი, როდესაც ბოლშევიკებს ჯერ კიდევ ეგონათ, რომ როგორიც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი რევოლიუცია, უეჭველია ერთი,—რომ ბურჟუაზიას შეეშინდება, ბურჟუაზია პირველსავე ნაბიჯზე უღალატებს მას და ჩვენ მოგვიხდება ბურჟუაზიის წინააღმდეგობის გადალახვა, ერთად ერთი ჩვენი მოკავშირე იქნება გლეხობა, რომელსაც სურს მიწის მიღება, უნდა მემამულეების გარეკვა. მე არ გამოუდგები ბოლშევიკურ პარტიის ისტორიის მოთხრობას. ბოლშევიკურსა და მენშევიკურ პარტიის ისტორიაზე მე ვილაპარაკე სხვა მოხსენებაში; ვინც არ ყოფილა მაშინ, შეუძლია წაიკითხოს იგი, იგი დაიბეჭდა და ცალკე ბროშურად გამოვიდა.

მე ვიტყვი მხოლოდ, რომ ბოლშევიკებმა, სწორედ იმიტომ, რომ მათ დაამყარეს პარტიის შიგნით, დიქტატურის რეჟიმი, აიღეს შემდეგ გეზი ქვეყანაში რევოლიუციონურ დიქტატურის დამყარებისაკენ, მიიყვანეს რუსეთის რევოლიუცია სრულ გამარჯვებამდე მაშინ, როდესაც მენშევიკები გატეხილ გობთან აღმოჩნდენ და თითო ემიგრაციაში აფარებენ თავს, დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ ბურჟუაზიის ფრთის ქვეშ. ასეთი იყო გზა ბოლშევიკური— მესამე ინტერნაციონალის ახალი გზა. იგი, ასე ვსთქვათ, იყო არა ახალი, არამედ იგივე გზა, რომელიც გაითვალისწინა ჯერ კიდევ მარქსმა და ენგელსმა, მაგრამ ბოლშევიკებმა პირველად გაატარეს ცხოვრებაში, რის შესახებაც მარქსს და ენგელსს, თავიანთი დროის პირობების მიხედვით, მხოლოდ წერა შეეძლოთ.

წინააღმდეგობანი ბოლშევიკების პოზიციაში.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ბოლშევიკებს ბრალს სდებენ ყოველგვარ წინააღმდეგობაში. ზოგიერთ ასეთ მოჩვენებით წინააღმდეგობაზე შევჩერდები მე ეხლა. რა უსინდისო პარტიაა ეს კომუნისტი-ბოლშევიკები, გვესმის ხშირად მენშევიკებისაგან; ისინი სოციალისტებთან უფრო სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ, ვიდრე ბურჟუაზიულ პარტიებთან; ისინი სოციალისტებს ციხეებში ამყოფებენ, მაშინ, როდესაც „ბურჟუა ნეპმანები" თავისუფლად დასეირნობენ. განა აქვს ასეთ ხალხს უფლება თავის თავს კომუნისტი უწოდოს. განა სოციალისტები-მენშევიკები, განა ესერები უფრო ახლოს არ არიან კომუნიზმთან, ვიდრე კულაკები, ვიდრე კაპიტალისტები? და ყოველთვის ასეთები იყვნენ ისინი, ეს უპრინციპო ბოლშევიკები. თავდაპირველად, როდესაც მათ არ ქონდათ სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, მათ არ შეეძლოთ ჩვენი ციხეებში ჩაყრა, მაგრამ მაშინაც გვებრძოდენ სასტიკად, დაუზოგავათ, გვაშავებდენ ჩვენ უფრო მეტად, ვიდრე თავიანთ ბურჟუაზიულ მოწინააღმდეგეებს; გავარკვიოთ ამხანაგებო, რაშია საქმე? რა არის საჭირო უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატის გამარჯვებისათვის, რათა მისი არმია იყოს ძლიერი, რათა მის რიგებში არ მოხდეს დაშლა, რათა პროლეტარული არმია იბრძოდეს გაბედულათ, ვაჟკაცურად, და არ იცქირებოდეს უკან და მე გეკითხებით: საიდან უფრო მეტი საფრთხე ემუქრება პროლეტარიატის ბრძოლას. ბურჟუაზიას მხრივ? არა ამხანაგებო, ბურჟუაზიის პროლეტარიატი მაინც არ გაჰყვება აშკარა, გულწრფელ მტერს, მხოლოდ ისინი, ვინც სიტყვით უსურვებენ მას ბედნიერებას, საქმით კი უკან მიათრევენ მას, მხოლოდ ასეთებს შეუძლიათ გაიყოლიონ მუშები. მათ ძალიან ადვილად შეუძლიათ მუშების გარყვნა. სწორედ ამიტომ მართალი იყვნენ ბოლშევიკები, როდესაც დაუზოგავად ებრძოდენ სოციალისტ-ოპორტიუნისტებს. ისინი მართალს ამბობდენ: ჩვენ არ გვაშინებს აშკარა, გულწრფელი მტერი, ჩვენ მათ გაუსწორდებით, ასეთი მტერი ჩვენ არ გვაშინებს, ჩვენ გვაშინებენ ის მეგობარი—მტრები, რომელთაც თითქოს აქვთ ერთნაირი ჩვენთან პროგრამა, მიმართულება, მაგრამ დაშლა, დემორალიზაცია შეაქვთ მუშათა წრეში რომელნიც ასულელებენ მათ, ჰკლავენ მათ რევოლიუციონურ ენერგიას, ართმევენ მათ ძალაუფლებისათვის ბრძოლის ხალისს. რომ დაგანახვოთ თქვენ, თუ რამდენად მართალი იყო ბოლშევიზმი ამ მხრივ, მე მოვიყვან ერთ მაგალითს. რუსეთში სოციალიზმისაკენ მიმავალი გზა გრძელია და ძნელი იმიტომ, რომ რუსეთი გლეხური ქვეყანაა, იმიტომ, რომ პროლეტარიატი ჩვენში შეადგენს ჯერ კიდევ მცხოვრებთა უმნიშვნელო ნაწილს. მაგრამ აიღეთ ინგლისი, მაშ იქ მუშათა კლასი შეადგენს მცხოვრებთა უმრავლესობას, იქ გლეხები უკვე მე-17 საუკუნიდან აღარ არიან რომ ამ მუშებს შეეგნოთ თავიანთი ინტერესები, ვერავითარი ძალა ხელს ვერ შეუშლიდა მათ მიერ ძალა-უფლების დღესვე ხელში ჩაგდებას და სოციალიზმის განხორციელებას სავსებით და არა ნახევრად, როგორც ამას ჩავდივართ ჩვენ ძალაუნებურად ჩამორჩენილ რუსეთში. ინგლისში მუშები შეადგენენ მთავარ ძალას, რაოდენობის მხრივ ისინი უმრავლესობას შეადგენენ ინგლისში. მაშ რატომ არ ჰკიდებენ ხელს ძალაუფლებას? იმიტომ რომ, რომელიმე საგარეო ძალა უშლის მათ ხელს? არა! იმიტომ, რომ ისინი მოწამლული და დაქსაქსული არიან ბურჟუაზიული ზეგავლენით, რომელიც იჭრება მათ წრეში მათი საკუთარი მუშათა წინამძღოლების, ტრედ-უნიონების (პროფ-კავშირების) წინამძღოლების საშუალებით და მათი მუშათა პარტიის მეთაურების საშუალებით.

ამხანაგებო, რომ არ ყოფილიყო 2 ინტერნაციონალის ოპორტიუნისტულ სოციალისტების გამხრწნელი მოქმედება, რომ დასავლეთ ევროპის მუშათა მასები დამდგარიყვენ 3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, ჩვენ უკვე გავიმარჯვებდით, და განვახორციელებდით სოციალიზმს მთელ მსოფლიოში. გასაგებია ამიტომ ბოლშევიკების მძულვარება მე-2 ინტერნაციონალისადმი.

ზედ დებ აღნიშნავენ ბოლშევიკების მეორე წინააღმდეგობას. მათ ძველ პროგრამაში, ისევე, როგორც მენშევიკების პროგრამაში წარმოყენებულია დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნილება. ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლიუციის წინ ბოლშევიკები ბრალს სდებდენ კერენსკის მთავრობას იმაში, რომ ის არ იწვევს დამფუძნებელ კრებას. და როდესაც დამფუძნებელი კრება შეიკრიბა—ბოლშევიკებმა იგი გარეკესო. განა ეს თვალთმაქცობა არ არის, განა ეს სიცრუე არ არის, ლაპარაკობდენ და დღესაც ლაპარაკობენ მენშევიკები. ამხანაგებო, ეს არ არის თვალთმაქცობა, ყოველნაირ ხილს თავისი დრო აქვს. არასოდეს ბოლშევიკებს საბოლოვო მიზნათ არ დაუსახავთ დამფუძნებელი კრება და დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს იყო მათთვის მხოლოდ გარდამავალი დროებითი ეტაპი გამარჯვების გზაზე. სანამ პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების პირობები არ მომწიფებულა, სანამ გლეხთა მასები ჯერ კიდევ მისდევენ წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს, სანამ მათ ამ პარტიების იმედი არ დაუკარგავთ,—დემოკრატიული რესპუბლიკა არის საუკეთესო სახელმწიფოებრივი ფორმა რევოლიუციის განვითარებისათვის. როდესაც დემოკრატიულ რესპუბლიკის ჩარჩოებში მომწიფდება პირობები პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისათვის, საჭიროა საპარლამენტო დემოკრატიულ რესპუბლიკის გაუქმება. როდესაც სახლს აშენებენ—შენობის მოხერხებულად დასამთავრებლად აწყობენ ხარაჩოს; როდესაც სახლი აშენებულია —ხარაჩოს შლიან. მე-2 ინტერნაციონალის პარტიების თვალსაზრისით დემოკრატიული რესპუბლიკა და დამფუძნებელი კრება წარმოადგენენ არა ხარაჩოს, არამედ იგი არის თვით ის სახლი, რომელშიაც სოციალიზმი უნდა განხორციელდეს. ბოლშევიკები არასოდეს არ ფიქრობდენ, მათ ყოველთვის იცოდენ, რომ გზა სოციალიზმისაკენ ბოლოს და ბოლოს ძევს პროლეტარიატის დიქტატურით, ამიტომ იმათ 1918 წლის იანვარში დაანგრიეს ის, რის აშენებასაც თვითონ მოითხოვდენ 1917 წელს. და ამ მუხლში ბოლშევიკები იყვნენ მხოლოდ მარქსის და ენგელსის ერთგული მოწაფეები. ამხანაგებო, მარქსმა და ენგელსმა 1-ლ ინტერნაციონალის ერთ-ერთ კონგრესზე გამოსთქვეს დებულება, რომელიც „მცნებათ" გადაიქცა ყველა რევოლიუციონურ სოციალისტებისათვის:

„პოლიტიკური თავისუფლება არის საშუალება, ეკონომიური განთავისუფლება კი—არის უდიდესი მიზანი". მარქსის და ენგელსისათვის პოლიტიკური თავისუფლება იყო მხოლოდ საშუალება, ხოლო პროლეტარიატის ეკონომიური განთავისუფლება—უდიდესი მიზანი. რას ნიშნავს ეს? განა ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არ აფასებდენ თავისუფლებას? არა, ამხანაგებო, ისინი ძალიან აფასებდენ თავისუფლებას, მაგრამ იმათ იცოდენ, რომ ნამდვილი თავისუფლება იქნება მხოლოდ კომუნისტურ წესწყობილების დროს. იმათ იცოდენ, რომ სანამ არსებობს ბურჟუაზიული წესწყობილება, ყოველი თავისუფლება იქნება მუშებისათვის ნახევრად განთავისუფლება; მართლაც, მუშები თითქოს სარგებლობენ თავისუფლებით დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იქ პროლეტარიატის ინტერესებზე შეგვიძლია სწერო და ილაპარაკო, რაც გსურს, მაგრამ სამწუხაროთ ცოტანი არიან ისეთები, რომელთაც უნდათ წერა. მთელი ინტელიგენცია იქ თითქმის ბურჟუაზიას ემსახურება, რომელსაც აქვს საშუალება უხვად დააჯილდოვოს მრავალრიცხოვანი მწერლები და მეგაზეთეები. თვით მუშებს აქვთ იქ ძალიან ცოტა დრო და საშუალება სწავლისათვის. საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში იქ ფაქტიურად სწავლობენ მხოლოდ ბურჟუაზიის და მემამულეების შვილები. თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ იქ არის თავისუფლება, მაგრამ თავისუფლებით სავსებით სარგებლობა მუშებს არ შეუძლიათ. აქედან იმის თქმა არ შეიძლება, რომ მარქსი და ენგელსი უარყოფდენ დემოკრატიულ რესპუბლიკის დროებით მნიშვნელობას; აქედან იმის თქმა არ შეიძლება, რომ მათ მუშებისათვის ერთნაირად მიაჩნდათ, იცხოვრებენ ისინი აბსოლიუტურ მონარქიაში, თუ დემოკრატიულ რესპუბლიკაში,—ასე მსჯელობდენ მხოლოდ ანარქისტები და არა მარქსი და ენგელსი.

მაგრამ საჭიროთ მიაჩნდათ რა ბრძოლა დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის, მარქსი და ენგელსი თავს არ ატყუებდენ, არ ამბობდენ, რომ ამით დამთავრდება ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა. დემოკრატიული რესპუბლიკა იყო მათთვის მხოლოდ ერთი საფეხური პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, ხოლო პროლეტარიატის დიქტატურა იყო მათთვის საფეხური კომუნიზმისაკენ, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მუშათა კლასის სრული და ჭეშმარიტი თავისუფლება. მე შევჩერდები ეხლა კიდევ ერთ მოჩვენებით წინააღმდეგობაზე. შეხედეთო, ამბობენ, ბოლშევიკებს ყველაფერში ორი საზომი აქვთ, რომლის საშუალებითაც ისინი ზომავენ. იმათ თვითონ დასდეს სამარცხვინო ბრესტის ხელშეკრულება გერმანიასთან, ზავი, რომელსაც ისინი თვითონ ეძახოდენ „სამარცხვინოს" მაგრამ როდესაც მენშევიკები მოლაპარაკებას აწარმოებდენ ანტანტასთან, ბოლშევიკები ბრალს სდებდენ მათ იმაში, რომ ისინი შემთანხმებლები არიან. განა ეს წინააღმდეგობა არ არის? განა ეს თვალთმაქცობა არ არის? ამხანაგებო, თუ თქვენ ჩაუკვირდებით მდგომარეობას, გაიგებთ, რომ არსებითად აქაც იყო უდიდესი განსხვავება ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. ბოლშევიკები ეწევიან მუდმივ და შეურიგებელ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ; ამ ომში, ისე, როგორც ყოველ ომში საჭიროა სხვა და სხვა სტრატეგიულ ხერხის ხმარება: საჭიროა ხან უკან დახევა, სანამ არ არის საკმაო ძალები გადამწყვეტი შეტაკებისათვის, საჭიროა დროს შერჩევა, მაგრამ ყველასთვის, ვინც თვალყურს ადევნებდა ბოლშევიკურ მანევრებს, ცხადია, რომ ეს იყო მხოლოდ სამხედრო ხერხი, ან იძულებითი დროებითი უკან დახევა, რომ ბოლშევიკები არც ერთი წუთით არ უშვებდენ ხელიდან იარაღს და რომ ისინი, ბოლოს და ბოლოს, ეყრდნობოდნენ თავის საკუთარ ძალებზე, ფიქრობდენ ბურჟუა-

---

*) [illegible] „კომუნისტი" № 176.

ეძლეოდა რჩევა-დარიგება მეფუტკრეობით დაინტერესებულ პირთ, გაიგზავნა ამერიკაში საცდელი მიზნით მიწად-მოქმედების კომისარიატიდან ანტომოლოგიური ბიუროს სახელ-ვაშინგტონში 12 არჩეული დეზი ფუტკარი კავკასიის ჯიშისა.

დაწესებულია განხილვა მეფუტკრეობის დარგში ლიტერატურისა, რომლის გამოცემაც განზრახულია ქართულ ენაზე.

აღმოჩინა დახმარება ადგილის მოსაძებნად (ბეთანია აკურისში) და საფუტკრის გადასატანად ტფილისის საარეშუმო სადგურს.

დათვალიერებულია საქარის სანერგესთან არსებული საფუტკრე და გათვალისწინებულია შემდეგი მუშაობის გეგმა.

აღმოსავლეთ საქარ. რევტრიბუნალში

ა. | წ. 6 აგვისტოს აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის სესია მიემგზავრება ქ. გორში და მის მაზრებში სადაც გაარჩევს შემდეგ საქმეებს:

6 აგვისტოს ხაშურში შაქრო კოპლიძის და გიგუცა დონაძის, რომელთაც ბრალი ედებათ ფალავანდიშვილის მოკვლაში; 8 აგვისტოს ქარელში გაბო, თომა, სერგო, იოსებ, ვასილ თიბილაშვილების, კოლა თედეშვილის და სერგო ფურცელაძის საქმეს, რომელთაც ბრალი ედებათ ჩინჩალაძის ოჯახის ყაჩაღურად ამოწყვეტაში; 11 აგვისტოს ქარელში—ევგენი ჭაიას და არშაკ ბეგიჯანოვის, რომელთაც ბრალი ედებათ თანამდებობითი ბოროტმოქმედებაში; 13 აგვისტოს გორში—კოსტა პეტრეს ძე გაგლოშვილის, რომელსაც ბრალდება მკვლელობა; 13 აგვისტოს იქვე—ვასილ გრიგორის ძე თიგიევის, რომელსაც ბრალათ ედება მითვისება; 14 აგვისტოს იქვე ვანო ალექსის ძე ხიზანაშვილის, რომელსაც ბრალათ ედება მკვლელობა; 14 აგვისტოს იქვე—ალექსი კობაიძის და შიო წიკლაურის, რომელთაც ბრალათ ედება ბანდიტებს ხელის შეწყობა; 19 აგვისტოს ცხინვალში—ილიკო მახარაშვილის, რომელსაც ბრალათ ედება მკვლელობა; 20 აგვისტოს ცხინვალში—გიორგი კასრაძეს და დავით კოკოევის, ბრალდებულნი ბანდიტურ ხელის შეწყობაში.

სესიას თავმჯდომარეობს ამხ. ა. კაჭარავა.

დასავლეთ საქ. პროკურორის სამმართველოს და სახალხო საგამომძიებლო აპარატის მუშაობის მოკლე ანგარიში

ა. წ. მაისის თვის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს პროკურორის სამმართველოს მუშაობა გამოიხატება შემდეგში:

აღნიშნულ სამმართველოში შემოვიდა 976 მიმოწერა; მათში: საგამომძიებლო საქმეები და სატუსაღო თხოვნები 328; სატუსაღო თხოვნები აღკვეცის ზომის შეცვლაზე და ვადის გასვლამდე სასჯელისაგან განთავისუფლებაზე 198; მილიციის ოქმები და მოხსენებანი მომხდარ და დანაშაულის შესახებ—145; რევტრიბუნალისაგან საქმეებით და სხვა და სხვა მიწერ მოწერით—126; თხოვნები საერთო ხასიათისა—148 და ცირკულიარები და ბრძანებები—21.

საგამომძიებლო უბნებში 1-ლ მაისისათვის დარჩა დაუმთავრებელი—477 საქმე; მაისის განმავლობაში შემოვიდა—102 საქმე; მაისის განმავლობაში დამთავრებულია—133 საქმე და 1 ივნისისათვის დაუმთავრებელი დარჩა—449 საქმე.

ქრონიკა

სახ. კომისართა საბჭოში.

— **აგარაკ ბახმაროს გასაშენიერებლად.** სახ. კომისართა საბჭომ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს აგარაკ ბახმაროს გასაშენიერებლათ და საცხოვრებელ სახლების შესაკეთებლათ გადასცა 100 ჩერვონეცი.

— **დახმარება დაღუპულ ამხანაგების ოჯახებს.** ამავე კომისართა საბჭომ დაადგინა ბანდიტებთან ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგების ერისთავის და სურგულაძის ოჯახებს მიეცეთ დახმარება 35 მანეთი ჩერვონცებით ყოველთვიურათ.

— **აგარაკ ბახმაროს საზღვრები.** კომისართა საბჭომ დაამტკიცა გეგმა აგარაკ ბახმაროს სამთო-სასანიტარო საზღვრებით შემოფარგვლის შესახებ.

— **მათხოჯის სახალხო სახლი.** მათხოჯის სახალხო სახლის სააშენებლო კომისიის განკარგულებაში, აღნიშნულ სახლის სასარგებლოთ, კომისართა საბჭომ გადასდო 1 მილიარდი მანეთი.

— **საყდრების მაგიერ კლუბების მოწყობა.** სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გაუქმებულ ეკლესიების შენობებში კლუბების მოსაწყობათ გადასდოს 5 მილიარდი მანეთი.

ქალაქის აღმასკომში

— **წინადადება მილიციას.** ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილების მიერ დაევალა ტფილისის მ. გ. მილიციის უფროსს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ პატარა ბავშვებს, რომლებიც სიარულის დროს ახტებიან ტრამვაის ვაგონებს და ხელს უშლიან ტრამვაის ნორმალურ მოძრაობას და თანაც ადგილი აქვს უბედურ შემთხვევებს. ამ განკარგულების მიხედვით პირველ შემთხვევის დროს ყველა დამნაშავე ბავშვები ხელწერილ ქვეშ ჩაბარდებიან თავიანთ მშობლებს, ხოლო თუ ისინი ხელმეორედ იქნებიან შემჩნეულნი, იმ შემთხვევაში ადმინისტრატიული წესით მილიციის მიერ დაპატიმრებული იქნებიან ამ ბავშვის მშობლები.

— **გზის გაფართოება.** კომუნალურ განყოფილებას წინადადება მიეცა გზის გაფართოების მიზნით სიონის ქუჩაზე აილოს სახლები და დუქნები.

— **დახმარება ქალ. გორს.** აღმასკომმა გორის აღმდგენ კომიტეტის შუამდგომლობის თანახმად დაადგინა გორის სასარგებლოთ გადასდოს ნახევარი მილიარდი.

— **ელექტრონის ქურდი.** ელექტრონის ქურდობისათვის აღმასკომმა დააჯარიმა 5 ჩერვონცით სასტუმრო „ავრორა“-ს მოიჯარადრე.

— **კავკასიის ცალკე ლაშქრის არსებობის 5 წლის თავი.** 13 და 14 აგვისტოს ტფილისში გაიმართება კავკასიის ცალკე ლაშქრის დაარსებიდან 5 წლის შესრულების გამო დღესასწაული. აღნიშნულ დღეებისათვის აღმასკომმა დაადგინა გამოსცეს განკარგულება ყველა დაწესებულებებისა და მცხოვრებლებისადმი რათა ქალაქი მორთული იქნეს გირლიანდებით და ილიუმინაციებით.

— **გადასახადის შემცირება** ამავე აღმასკომის დადგენილებით მუშათა კლუბებში შესასვლელ ბილეთზე აღმასკომის სასარგებლოთ დადებული გადასახადი შემცირებულ იქნეს 50 პროცენტით.

დამზღვევ კასაში.

— **ქართული ენის შესახებ.** დამზღვევ კასის პრეზიდიუმმა, შრომის სახ. კომისარიატის დადგენილების თანახმად, გადასწყვიტა ყველა განყოფილებებში საქმის წარმოება შემოღებულ იქნას ქართულ ენაზე.

კრებები და მოხსენებები.

— **მეტყველთა კრება.** თვითმშრომელთა კლუბში, დღეს, საღამოს 4 საათზე დანიშნულია კავშირის წევრების—მეტყველთა კრება.

შრომის ბირჟა

— **უმუშევრები.** 3 და 4 აგვისტოს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 638 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—70, გაიგზავნა სამუშაოზე 71 უმუშევარი.

სხვა და სხვა.

—**სამეურნეო იარაღები პროვინციებისათვის.** ახალ-ქალაქის აღმასკომმა შეიძინა სახნავი მანქანა (ტრაქტორი), რომლითაც აღმასკომი პირველათ დაეხმარება გაჭირვებულ გლეხებს.

— **საჰაერო ფლოტის კვირეულისათვის.** საჰაერო ფლოტის კვირეულის განმავლობაში ტფილისის უმთავრეს ქუჩებზე და მოედნებზე დადგმული იქნება ჰაეროპლანები ფართე მასებისათვის საჩვენებლათ და განმარტებების მისაცემათ.

— **დახმარება ბავშვთა სახლებს.** დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა ბავშვთა სახლებს კოჯორში დახმარების სახით გადასცა 50 ყუთი ხორცის ფრანგული კონსერვები და 100 ცალი თეთრეული.

— **მუშებისათვის დროებით საცხოვრებელ ბინების მოწყობა.** უკვე დამთავრდა ზემო-ავჭალაში ორი დროებით საცხოვრებელ ბინის მოწყობა ადგილობრივ მუშებისათვის. ამ ჟამათ ზემო-ავჭალის სადგურზე მუშაობს 1000 კაცამდე ყოველდღიურათ.

— **საღამოები საჰაერო წითელი ფლოტის სასარგებლოთ** 5 და 6 აგვისტოს მუშათა და წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბებში საჰაერო წითელი ფლოტის სასარგებლოთ გაიმართა გრანდიოზული საღამოები.

ხელოვნება

აკადემიურ ორკესტრის მესამე სიმფონიური კრება.

მესამე სიმფონიურ კრების პროგრამა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. პირველათ იმიტომ, რომ კონცერტის პროგრამის უდიდესი ნაწილი მიძღვნილი იყო ჩაიკოვსკის ნაწარმოებებისათვის და შემდეგ იმიტომ რომ კონცერტში მონაწილეობას ღებულობდა ორკესტრის ნიჭიერი სოლისტი—ვიოლინოზე დამკვრელი—მალუნცევი. არის სხვა რომელიმე უფრო საყვარელი და პოპულიარული რუსეთის კომპოზიტორი, ვიდრე პეტრე ჩაიკოვსკი?

პროგრამაში შევიდა დიდებულ სიმფონისტის ორი ყველაზე უფრო ნიჭიერი ნაწარმოები—მეხუთე სიმფონია S—moll და შექსპირის დრამის „რომეო და ჯულიეტას“ უვერტიურა. სიმფონია S—moll-ი დაწერილია 1888 წელში. მოფიქრებულია ის ჩაიკოვსკის მიერ ჯერ კიდევ თბილისში ყოფნის დროს. „ იმავე წელში ავტორი თვითონ დირიჟორობდა თავის ნაწარმოებს პეტროგრადში. სიმფონიამ იმწამსვე მიიპყრო ყურადღება და მაშინვე შევიდა ევროპიულ სიმფონიურ კონცერტების პროგრამაში

მოქ. ბრონი მშვენივრათ იწყებს სიმფონიას და ხაზს უსვამს ავტორის მისტიურ განწყობილებას (Fatum,—რომელიც დამახასიათებელი თვისება იყო ჩაიკოვსკის შემოქმედების). მოქ. ბრონი იწყებს largo და mezzo voce; ეს კარგია, რადგან აქ სჭარბობს მინორული განწყობილება, მაგრამ შემდეგ ავტორი უფრო მხიარულ განწყობილებაში გადადის (მაჟორული—პირველი ხმა ვრცელდება მთელს ორკესტრში და უმჯობესია გაკეთებულ იქნეს კონტრასტი, მშვენივრათ, მხატვრულათ ჩაატარა მოქ. ბრონმა მშვენიერი მეორე ნაწილი და საუცხოვო მელოდიური სურათი, ფართო კანტილენა და კარგი ნიუანსიროვკა მოგვცა.

მესამე ნაწილი შესრულებული იყო მკრთალათ. აქ იშვიათი კონტრაპუნქტული და რითმიული სიძნელეა და ეს ნაწილი ხანგრძლივ რეპეტიციას მოითხოვს. აქ საჭიროა თემების გამოყოფა. კარგათ იყო შესრულებული 4 ნაწილიც, მხოლოდ ფინალი (ხალხური თემა) უფრო ჩქარი ტემპით და რელიეფურათ უნდა იქნეს შესრულებული.

უვერტიურა-ფანტაზია „რომეო და ჯულიეტა“ ჩაიკოვსკის ნაადრევ ნაწარმოებებს ეკუთვნის. ის დაწერილია 1870 წელში.

ჩაიკოვსკის განზრახული ჰქონდა ოპერის დაწერა შექსპირის დრამის შინაარსის მიხედვით, მაგრამ შემდეგ დასტოვა ეს განზრახვა და ჩვენამდის მხოლოდ ერთმა სცენამ (დუეტი) მოაღწია. მაგრამ უვერტიურა დამოუკიდებელია და მასში ყველა მთავარი თემები სჭარბობს—ორ პერიოდში. პირველი ეს. მონტეკისა და კაპულეტის ბრძოლა—მეორე პერიოდი (ლირიული) დრამის გმირების განცდა. მელოდია აქ განსაკუთრებით ლამაზი და კეთილშობილია—ის წითელი ზოლივით არის გატარებული მთელ უვერტიურაში.

საერთოდ „რომეო და ჯულიეტა“ კარგათ იყო შესრულებული. მაგრამ მოქ. ბრონი ტყვილა აჩქარებს ტემპს დუეტის შესრულების დროს. დუეტი ხომ andante (ნელა) მიდის, აქ ხომ კანტილენაა. შემდეგ ბრძოლის თემა მეტის ტემპერამენტით უნდა იყოს შესრულებული, და მოცემული უნდა იყოს ფინალის დასურათება (ბრძოლის განვითარება); მშვენივრად ჩაატარა მოქ. ბრონმა ფინალი (დრამის გმირების დაღუპვა)—აქ მაესტრო კარგათ იყენებს ფართო ფრაზას და თანდათანობით აძლიერებს ხმოვანებას და შემდეგ ანელებს მას piano-მდი.

მოქ მალუნცევმა შეასრულა სენსანსის ვიოლინოს მშვენიერი კონცერტი Q moll-ი. ეს მეტათ პოპულიარული კონცერტი იშვიათად მელოდიურია (ძირითადი თემა). ის მეტ ინტუიციას მოითხოვს, რაც მოქ. მალუნცევმა საკმაოდ ვერ გამოიჩინა. ახალგაზრდა მსახიობის შესრულება უფრო აკადემიური იყო. მსახიობს მშვენიერი ტეხნიკა აქვს. მოქ მალუნცევს სერიოზული საკონცერტო ესტრადა ელის. სჩანს კარგი სკოლა და საქმისადმი სერიოზული მოპყრობა. მშვენიერ ხმას იძლეოდა საფრანგეთის დიდებულ ფირმის de—Kose ინსტრუმენტი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც მიღებულ იქნა მოსკოვიდან და ეკუთვნის პროფ. წოვიანოვის ერთ ერთ მოწაფეს.

მუსიკოსი.

— **თეატრების შეკეთება.** რუსთაველის და სახელმწიფო პატარა თეატრების შესაკეთებლათ ა. კ. სახალხო კომისართა საბჭომ გადასდო 11 მილიარდი.

პროვინციაში

ბუკისციხის თემი (გურია).

ბუკის ციხის თემი სულ სამი წელია რაც არსებობს. ამ თემში შედის შემდეგი სოფლები: 1) ბუკის-ციხე 2) იანეული და 3) ნაეკლესიევ-შვამანეული. დაახლოვებით ამ თემში 440 მცხოვრებია. აქ არის სხვა და სხვა კულტურული დაწესებულებები: 8 წლიანი შრომის სკოლა, სამკითხველო, ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება. მომხმარებელი საზოგადოება „იმედი“ და საფერშლო პუნქტი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემო ჩამოთვლილი დაწესებულების შენობები აგებულ იქნენ იმ დროს, როდესაც ბუკის-ციხის თემში შედიოდა მხოლოდ ბუკის ციხე, რომლის მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატებოდა 150 კომლს.

8 წლიანი სკოლა სამაზრო სარევიზიო კომისიის შეხედულებით იქნა ცნობილი მაზრაში სამაგალითო სკოლათ, რაიც მიეწერება, როგორც მასწავლებელთა ენერგიულ მუშაობას აგრეთვე ყოფილ აღმასკომის თავმჯდომარის თ. სიხარულიძეს, რომლის ინიციატივით დამთავრებულ იქმნა ორი საკლასო ოთახი, შემოღობილ იქნა სკოლის ეზო და შორიდან გამოყვანილ იქნა სკოლის ეზოში თიხის მილების საშუალებით ცივი წყარო, ურომლისოდაც დიდ გაჭირვებას განიცდიდა 300 მოწაფე და დაწესებულებათა მოსამსახურეები.

ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა თემში, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრი არის მაგალითად. 8 წლიანი შრომის სკოლის შენობის დამთავრება, ახალი პარტების გაკეთება, სახალხო სახლის და აბანოს აგება.

მართალია სამკითხველო დიდი ხანია არსებობდა ჩვენში, მაგრამ დღემდე სამწუხაროთ მას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, დღეს კი სამკითხველოს ყავს არჩეული გამგეობა, რომელიც ენერგიულად მუშაობს სამკითხველოს საკეთილდღეოთ. აქვე დაარსებულია დრამატიული წრე, რომელიც დრო გამოშვებით მართავს წარმოდგენებს სხვა და სხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა სასარგებლოთ. დრამატიულ წრის დაარსებამდე ადგილობრივ მასწავლებელთა ინიციატივით მოწყობილ იქნა სალიტერატურო წრე, რომელშიაც შედიოდა 8 წ. შრომის სკოლის უფროსი კლასის მოწაფეები, აგრეთვე კომკავშირის წევრები. კვირა უქმე დღეებში იმართებოდა გასამართლებები სხვა და სხვა მწერლების ნაწარმოებთა გმირების: „ქრისტინეს“, „გოგია უიშვილის“ და სხვების.

31 ივლის ამა წლისა მოხდა ბუკის ციხის თემის საზოგადო კრება კრების განსახილველ საგანს სხვათა შორის შეადგენდა 8 წ. შრომის სკოლის შენობის სრული დამთავრება. საბჭოს მიერ წინასწარ შემუშავებულ და შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად შენობას სჭირდება მილიარდ ნახევარი. საზოგადო კრებამ ამ საგანზე აირჩია სასკოლო ვექილები, რომლებსაც დაავალა საბჭოს მიერ წარდგენილ ხარჯთ-აღრიცხვის გადახედვა და სათანადო მთავრობიდან ნებართვის გამოთხოვა საჭირო თანხის ხალხზე გასაწერათ. კომისიას აგრეთვე დაევალა შეუდგენ აღნიშნულ საქმის სამოსწავლო წლის დაწყებამდე დამთავრებას.

ამ დღეებში აქ ფრიად სამწუხარო ამბავს ჰქონდა ადგილი. თემკომის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. ფილიპე კალანდაძეს ღამით თავს დაესხენ ყაჩაღები, შეუხტენ სახლში და მოსთხოვეს იარაღი. ყაჩაღებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, როგორც ფ. კალანდაძემ ისე მისმა ცოლშვილმა. ყაჩაღებმა რევოლვერით დასჭრეს ამხ. კალანდაძე და ხელცარიელი გაუდგნენ გზას.

ხალხის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ადგილზე სასწრაფოთ გაჩნდნენ მილიციის უფროსი ამხ. ლუკა სარჯველაძე მილიციონერებით. მილიციის უფროსის მოთხოვნით არჩეულ იქნა კომისიები ავაზაკების აღმოსაჩენათ. უნდა აღინიშნოს რომ მილიციის უფროსის ამხ. ლუკა სარჯველაძის ადგილობრივ ხელისუფლების და ხალხის მიერ არჩეულ კომისიის გონიერმა და ტაქტიკურმა მუშაობამ იმ დღესვე აღმოაჩინა ავაზაკები, რომლებიც იქნა გადაგზავნილი სადაც ჯერ არს

დასასრულ აღსანიშნავია, რომ ამ თემში არის ორი ეკლესია. ერთი ქვისაა, მეორე კი ხისა. ორივე გაუქმებულია. სასურველია ეს შენობები სახალხო სახლათ იქნან გადაკეთებული და გამოყენებული.

მ. ხლობელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ა. | წ. 16 ივლისის განსაკუთრებული დადგენილებით სპარსეთიდან ნიჟეგოროდის ბაზრობაზე მიმავალი საქონელი გაშვებული იქნება ჩვენს საბაჟო პუნქტებში ნიჟნინოვგოროდში ბაჟის გადახდევნებით.

ა | წ. 17 ივლისს ტვირთების გაშვების აღნიშნული წესი და ბაჟების გადახდევინება ვრცელდება ყველა ჩვენს საბაჟო პუნქტებზე.

ჯულფის საბაჟოში იყო ერთად-ერთი შემთხვევა სპარსეთის საქონლით დატვირთულ ერთი მარშრუტის დაკავებისა და მოთხოვნილ იქნა ბაჟების ჯულფაში გადახდა. საგარეო ვაჭრობის სახ კომისარიატის კოლეგიამ წინადადება მისცა დაუყოვნებლ მოახდინონ ამ გაუგებრობის ლიკ დაცია და დაუბრუნონ უკან აღებ ლი ბაჟები; [illegible] კოლ [illegible] იქნეს სასტიკ გამოძიება. ამ მიზ რათა ამიერ-კავკასიის სახ. კომის თა საბჭოს 16 ივლისის დადგენ ბის დარღვ ვისათვის დამნაშავ პასუხისგებაში იქნან მიცემული.

ამ ჟამად ინციდენტი ამოწუ ლია და საქონელს თავისუფლად ვებენ სპარსეთიდან ჯულფის საბა თი ნიჟეგოროდის ბაზრობაზე

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომ ხარიატის კოლეგი

პარტიული და საბჭოთა კალენდარ

პარტიული

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მეორე უბნის კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 9 აგვისტოს, საღამოს ექვსის ნახევარ საათზე, ს უბნო კომიტეტის ბინაზე დანიშნულია დელეგატების კრება კომუჯრედის მდივნებთა ერთად.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ცენტრალურ მუშათა კლუბის გამგისა კლუბის მოღვაწეობაზე და მომავალ მოქმედების შესახებ. 2. მოხსენება საშუალო ცოდნის აგიტატორების შესახებ 3. საუბნო კომიტეტების მოხსენება.

ყველა დელეგატებისა და უჯრედების მდივანთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

— მე-2 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 8 აგვისტოს, საღამოს საათზე საზეიმოდ გაიხსნება კომ. ახალგ. კავშირის მე-2 უბნის კომიტეტის კლუბი, ყოფილ მისიონერთა ეკლესიაში (მილიუტინისა და ანდრეევის ქუჩების კუთხეში), კლუბი გახსნას დაესწრებიან მე-2 საუბნო კომიტეტის წევრები და კანდიდატები.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

განცხადებები

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 1923 წ. 10 აგვისტოსათვის გამოცხადებულია შეჯიბრება პიკეტ № 3-დან პიკეტ № 5-მდე არხის გასაყვანად კლდეში სანალმო სამუშაოს იჯარის გასაცემად, დაახლოვებით 1500 კუბ. საჟ., იჯარა გაიცემა მოიჯარადრის ხელსაწყოთი და ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტის ასაფეთქებელი მასალით; სამუშაოს შესრულების ვადა არის ორი თვე ნახევარი.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ აღნიშნული სამუშაოს აღება, უნდა წარმოადგინონ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დაწესებულ ნიმუშის ბლანკზე დახურულ კონვერტებში შემდეგი წარწერით: „ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო სამუშაოების უფროსს 1923 წ. 1 აგვისტოს შეჯიბრებისათვის, აღნიშნულ რიცხვში გაიხსნება წარდგენილ კონვერტები. ფასები უნდა იქნას აღნიშნული ჩერვონეცის მანეთებში, ან რიშების გასწორება მოხდება ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით საანგარ შო ქვითარების შედგენის დღეს არსებულ კურსის მიხედვით და ტფილისი ბირჟის ფასების დამმუშავებელ კომისიის ცნობების თანახმად.

განცხადებასთან დართული უნდა იყოს ქვითარი ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელ ტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტის კასაში საიჯარო თანხ 5 პროც. საწინდარის შეტანის შესახებ. იმ პირების და ორგანიზაციები საწინდარი, რომელთაც არ მიეცემათ საიჯარო სამუშაო, დაუყოვნებლი დაუბრუნდებათ მათ შეჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე. ხოლო ი პირთა და ორგანიზაციებს, საწინდარი, რომლებიც იჯარას მიიღებენ, დარჩება ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტის კასაში და გადიდებული იქნება საერთო თანხის 10 პროცენტამდე პირველ ანგარიშების გასწორებიდან 10 პროცენტიან გადარიცხვით და და ბრუნდებათ მათ მხოლოდ საიჯარო სამუშაოს დასრულების შემდეგ. ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტი იტოვებ უფლებას გასცეს იჯარა არა უმცირესი ფასების მიხედვით, არამედ მიიღებ მხედველობაში მოიჯარადრის წინანდელ მოღვაწეობას, მის გამოცდილება და სამუშაოს თავის დროზე შესრულებას.

განცხადებების ბლანკები და ყოველგვარი პირობები შეიძლება მიღებულ იქნას ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე დილის 10 ს.—შუადღის 12 საათამდე ქ. ტფილისი, ლადო დუმბაძის ქუჩა (ყოფ. ველიამინოვის).

შენიშვნა: წინასწარი საწინდრის შეტანისაგან შეიძლება იქნან განთავისუფლებულნი მუშათა და გლეხთა არტელები, რომელნიც კანონიერის წესით არიან გატარებული შრომის სახალხო კომისარიატის რეგისტრაციაში და რომელნიც განცხადებასთან ერთად წარმოადგენენ სათანადო მანდატს, გაცემულს არტელის რწმუნებულის სახელზე. ამ შემთხვევაში საწინდარი შესდგება ანგარიშის გასწორების დროს 10 პროცენტიან გადარიცხვათა საშუალებით.

კრ. 542 3—3

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტი ამით აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

12 ცალი მუდმივი ნაკადიანი 440 ვოლტ. და 15 ცხენის ძალიანი ელექტრო-მატორის მისაწოდებლად.

მიწოდების ვადა 1 ნახ. თვეს არ აღემატება. საჭირო ელექტრო მამოძრავებელთა ვრცელი სიის მიღება შეიძლება ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტის სამუშაოების სამმართველოს მატერიალურ ნაწილში (ლადო დუმბაძის ქუჩა № 3). ყოველ დღე სამსახურის საათებში.

წინადადებანი როგორც ნაწილობრივი, ისე მთლიანი უნდა იქნას წარდგენილი კომიტეტში (ლ. დუმბაძის ქუჩა, 3) არა უგვიანეს ა. | წ. 20 აგვისტოს შუადღის 12 საათისა დაბეჭდილ კონვერტებში შემდეგი წარწერით: ,,საჯარო ვაჭრობისათვის ელექტრო-მამოძრავებელთა მისაწოდებლად''.

წინადადებაში ფასები უნდა იქნას ნაჩვენები ჩერვონცებით ფრანკო—ტფილისში ცალ-ცალკე თითეულ ელექტრო-მამოძრავებელისათვის და სავალდებულოა როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დაკვეთისათვის.

კრ. 552

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ 9 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, კომისარიატის ბინაზე, ოთახი № 16, დანიშნულია სიტყვიერი

საჯარო ვაჭრობა

გამომცხვარი პურისა, ხორცისა და სხვა სანოვაგის მიწოდებაზე

ქალაქ ტფილისის № 1 და 2 გამასწორებელ სახლებში მყოფ პატიმართა და მათ ყურისმგდებელ პერსონალისათვის 1923—24 წელს.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განცხადებები უნდა წარმოადგინონ 9 აგვისტოს შუადღის 12 საათამდე.

საჯარო ვაჭრობისა და სანოვაგის რაოდენობის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

უკეთუ საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, ხელ ახალი ვაჭრობა მოხდება ორშაბათს 13 აგვისტოს დღის 12 საათზე. 556 2—2

ამა წლის 3 მარიამობისთვეს გოგოლის ქუჩიდან № 29

დაიკარგა

სულით ავადმყოფი 23 წლ.

ვლადიმერ კირილეს ძე ლომთათიძე,

რომელიც იყო ჩამოყვანილი ს. ხიდისთავიდან (გურია) საავადმყოფოში სათავსებლათ. დედა დაკარგული ვლადიმერ ლომთათიძისა ნატალია სთხოვს თუ ვინმემ იცის უ აწვილის ვინაობა აცნობოს შემდეგი მისამართით: ტერის ქუჩა სახლი № 8, ბინა ივანე იესესძე თავართქილაძისა.

ზიაზე ძალით გამარჯვებას... მე ვიყავი მოსკოვში კერზონის ულტიმატუმის მიღების დროს. უკანასკნელ მომენტამდე მოსკოვის „პრავდაში“ ინგლისის მთავრობას სხვაგვარად არ იხსენიებდენ, თუ არა როგორც ყაჩაღურს. სრ. რუსეთის ცაკის „იზვესტიაში“ აგრეთვე ყაჩაღებათ იხსენიებოდა ინგლისის მთავრობა. როდესაც კერზონმა გამოგზავნა ულტიმატუმი, მოსკოვში გაიმართა დემონსტრაცია, დემონსტრაციის დროს სულიერ განწყობილების შესახებ შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა შემდეგი მაგალითიდან: კერზონის მანეკენებს ცეცხლს უკიდებდენ ქუჩებში, ერთმა ჯგუფმა კერზონის მანეკენი ჩამოჰკიდა სახრჩობელაზე და გამოიტანა ქუჩაში; ეს მანეკენი მიიტანეს ინგლისის მისიასთან, რომელმაც აივნიდან გადაიღო მისი სურათი,—ასე ელაპარაკებოდენ მათ. ეს იყო იმ კომპრომისის კომენტარიები, რომელზედაც ბოლშევიკები იძულებული გახდენ წასულიყვენ. რა სახის იყო ეს კომპრომისი? ბოლშევიკები სენტიმენტალისტები არ არიან, ისინი ანგარიშის ხალხია; მათთვის რომ მოეთხოვათ ფაბრიკების დაბრუნება მე საკუთრეებისათვის, ისინი სასტიკად იბრძოლებდენ, არავითარ შემთხვევაში არ დაუთმობდენ, მაგრამ, როდესაც მათ მოსთხოვეს ორი გაიძვერა ჯაშუშის ზარალის ანაზღაურება და 3 მილის მანძილზე თევზის ჭერის ნებართვა მათ ამისათვის მუშების სისხლის ღვრა არ მოინდომეს. განა აშკარა არ არის, რომ ეს იყო ბრძოლაში გონივრული დროის შერჩევა და არა მტრისათვის იარაღის ჩაბარება. იმავე ტაქტიკას ადგენ ბრესტის ხელშეკრულების დადების დროს რამდენადაც მაშინ მდგომარეობა აუტანელი და გამოუვალი იყო, გერმანელებს დაუთმეს და ბევრიც დაუთმეს, მაგრამ, რაც მთავარია, შეინარჩუნეს—საბჭოთა ხელისუფლება და შესაძლებელი გახდა კომუნიზმისაკენ წინსვლა იმ ანგარიშით, რომ, როდესაც მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, ბრესტის ხელშეკრულება გაუქმებული იქნებოდა. მენშევიკები ყოველთვის პრინციპიალურად საწინააღმდეგო პოზიციას ადგენ. რა ხდებოდა თებერვლის რევოლიუციის დროს, როდესაც ეწყობოდა კოალიციონური ხელისუფლება ბურჟუაზიასთან. განა ძნელი იყო ბურჟუაზიის განდევნა? სრულიადაც არა, ადვილი იყო კადეტების განდევნა, მაგრამ მენშევიკებმა მათ სთხოვეს დარჩენილიყვენ მთავრობაში როდესაც შინგარიოვი და ნეკრასოვი ამბობდენ—ჩვენ არ გვინდა დარჩენა, უნდა გავიდეთო, მათ ემუდარებოდენ—დაბრუნდითო. რაში იყო აქ საქმე? იმაში, რომ მენშევიკები პრინციპიალურად უარს ამბობდენ რუსეთის სახელმწიფოს მართვა—გამგეობაზე ბურჟუაზიასთან შეთანხმების გარეშე, განა ქართველი მენშევიკები თავის ნებით არ სთხოვდენ ინგლისს დახმარებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ? სხვა საქმეა, როდესაც სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი და რომლის დროს საჭიროა უკან დახევა; სხვა საქმეა, როდესაც თვითონ თავისი ნებით ეძებენ შეთანხმებას მოწინააღმდეგესთან, როდესაც ფიქრობენ, რომ მხოლოდ ბურჟუაზიასთან შეთანხმებით შეიძლება სოციალიზმის განხორციელება ან, რაც უფრო სამარცხვინოა, როცა თავის თავს უწოდებენ სოციალისტებს და ბურჟუაზიასა და ფეოდალებთან ერთად ერთიანი ფრონტით გამოდიან მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ, როგორც ამას სჩადიოდენ ქართველი მენშევიკები. მენშევიკები კუდში დასდევდენ ბურჟუაზიას, განგებ ეძებდენ სამშობლო და უცხოეთის ბურჟუაზიასთან კავშირს სახელმწიფოს მეურნეობის აღსადგენად და მის დასაცავად თავის პროგრამის განხორციელებაზე უარის თქმით. კომუნისტური პარტია კი, არ სწყვეტდა რა რევოლიუციონურ ბრძოლას, ეყრდნობოდა მხოლოდ თავის და რევოლიუციონურ პროლეტარიატის და გლეხობის ძალებზე. და ყველა მისი უკან-დახევა და შეთანხმება იყო მხოლოდ სტრატეგიული ნაბიჯი შეუწყვეტელ ომის დროს, რასაც ისინი არ უფარავდენ თვით მტრებსაც. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მთელი მსოფლიო ბურჟუაზია ზიზღით უცქერის ამ პარტიას და მის ძალაუფლებას, რომელიც უდიდეს საფრთხეს უმზადებს მის არსებობას.

ამხანაგებო, დღევანდელი პროლეტარული რევოლიუცია ძალიან მძიმე საქმეა. არც ერთი რევოლიუცია ისე ძნელი არ ყოფილა, როგორც ეს უკანასკნელი; რატომ? ვინც ცოტადთუ ბევრად იცნობს ისტორიას, მან იცის, რომ ბევრად უფრო საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლიუციამდე ბურჟუაზია იყო ქვეყნის ფაქტიური ბატონ პატრონი, ბურჟუაზიის ხელში იყო კაპიტალი და მსხვილი მრეწველობა. ბურჟუაზიულ რევოლიუციამდე ინტელიგენციის უმრავლესობა გამსჭვალული იყო ბურჟუაზიულ სულისკვეთებით; ბურჟუაზიულ რევოლიუციამდე მეცნიერები, მწერლები, ფილოსოფოსები, ინჟინრები, ადვოკატები და სხვა და სხვა მხარს უჭერდენ ბურჟუაზიას. როდესაც ბურჟუაზია ძალა-უფლებას სათავეში მოექცა, იგი თავიდან ფეხებამდე იყო შეიარაღებული. სულ სხვა მდგომარეობაში იყო და არის პროლეტარიატი. რა მდგომარეობაში იყო პროლეტარიატი, როცა მან ხელში ჩაიგდო ძალა უფლება? ინტელიგენციის უმრავლესობა პროლეტარიატის წინააღმდეგ იყო განწყობილი; განა ხელისუფლების სათავეში მდგომ პროლეტარიატს ჰქონდა დიდი სამეურნეო და სახელმწიფოებრივი გამოცდილება? განა ის მონაწილეობას იღებდა არა პირდაპირ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში? განა პროლეტარიატი შეჩვეული იყო წარმოების გაძღოლას? განა მის რიგებში იყვენ მრავალი მეცნიერები, ტეხნიკოსები, ინჟინრები. არაფერი ამის მზგავსი. ბურჟუაზია სცდილობდა, ამხანაგებო, რომ თქვენ არ მიგეღოთ ეს ცოდნა. როდესაც ბურჟუაზია იდგა სახელმწიფოს სათავეში, ის სცდილობდა, რომ თქვენ შვილებს არ მიეღოთ სწავლა-განათლება; რათა ისინიც ისევ პროლეტარებათ დარჩენილიყვენ. ასეთ პირობებში პროლეტარიატს უხდება დამსხვრევა იმ ბურჟუაზიულ მანქანისა და ისეთი ახალი მანქანის აშენება, რომლის მზგავსი მსოფლიოს არც კი უნახავს ეს უდიდესი და უძნელესი საქმეა. საკვირველი არ არის, რომ ასეთ პირობებში საბჭოთა ხელისუფლება ბევრ შეცდომებს უშვებდა, მაგრამ მუშები პროლეტარულ რევოლიუციის მსვლელობაში სწავლობენ და მიიღებენ ცოდნას: მე გაოცებული ვიყავი, როცა ვხედავდი, როგორი აღფრთოვანებით სწავლობენ ახალგაზრდა მუშები, როდესაც ეს შესაძლებელი გახდა. მხოლოდ ერთ მოსკოვში 50 ათასი მუშა სწავლობს მუშათა ფაკულტეტზე, აქედან ნახევარი მთელი დღე სახელმწიფო ხარჯით სწავლობს, ხოლო მეორე ნახევარი მთელი დღის განმავლობაში ფაბრიკებში მუშაობს, საღამოს 5 საათიდან კი მუშათა ფაკულტეტებზე სწავლობს. ვინ არიან დღეს ჩვენ მსხვილ სამრეწველო ქარხნებში ადმინისტრატორებად? ყველა მუშებია, რომელნიც რამდენიმე წლის განმავლობაში დაზგასთან მუშაობდენ. ჩვენ გვყავს მთელი რიგი ინჟინერთა, რომელნიც აწყობენ წითელ წარმოებას. მე ვიმეორებ, ამხანაგებო, უდიდესი დაბრკოლებანი ელობება ჩვენს სოციალისტურ რევოლიუციას, მაგრამ, სამაგიეროთ არ ყოფილა არც ერთი რევოლიუცია, რომელსაც ესოდენი ენტუზიაზმი გამოეწვია მუშათა მასებში. არ ყოფილა არც ერთი რევოლიუცია, რომელმაც მოუტანა მუშათა კლასს ასეთი მონაპოვარი, როგორიც ჩვენმა რევოლიუციამ და ამიტომ მუშები, მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებათა, მიდიან ამ უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაში. ამხანაგებო, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს მღვდელი სიესი ამბობდა, რომ მესამე წოდება—ბურჟუაზია არარაობა იყო, მაგრამ ყოვლის შემძლეველი გახდება. ეს არ არის სავსებით მართალი, მესამე წოდება საფრანგეთის რევოლიუციის დროს ბევრ რამეს წარმოადგენდა, მას ჰქონდა კაპიტალი და ცოდნა. აი მუშები, მართლაც, რევოლიუციის წინ არაფერს არ წარმოადგენდენ, ხოლო დღეს ყოვლის შემძლე ხდებიან.

პროლეტარიატის დიქტატურა—ერთად-ერთი გზა სოციალიზმისაკენ.

ამხანაგებო, დავა იმის შესახებ, რა გზით უნდა წავიდეთ სოციალიზმისაკენ, დემოკრატიულ, პარლამენტარულ რესპუბლიკის თუ პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით, ეხლა უკვე აღარ არის თეორეტიული დავა, არამედ იგი სწყდება და კიდეც გადაწყდა პრაქტიკულად. განა 10 წლის წინად მოიპოვებოდა ტფილისში, ან სადმე მსოფლიოში თუნდაც ერთი ადამიანი, რომელსაც იმედი ქონდა, რომ 1917 წელს ჩვენ შეუდგებოდით სოციალიზმის დამყარებას. არავინ არ დაიჯერებდა ამას. მაშინ სოციალიზმი რაღაც მიუწდომელი გვეჩვენებოდა, რომ როცა ის მოგვევლინა, სოციალისტების უმრავლესობას (მენშევიკებს და ესერებს) არ სჯეროდათ და არც ეხლა სჯერათ, და ამტკიცებენ, რომ ოქტომბრის რევოლიუცია იყო ბურჟუაზიული.

რა თქმა უნდა, ოქტომბრის რევოლიუცია შეუფერხებლად არ მიმდინარეობდა; ძალიან ბევრი სისხლი დაიღვარა, მრავალი შეცდომები იქნა დაშვებული, მაგრამ ვინც ფიქრობდა რომ ძველი წესწყობილების დამსხვრევა და ახალის აშენება მუშათა დაკოჟრილ ხელებით ადვილი საქმე არის, ის არც უნდა ჩაბმულიყო რევოლიუციაში. სოციალური რევოლიუცია ძალიან მკაცრი და ძნელი საქმეა. მაგრამ, სამაგიეროთ ჯილდოც და მიზანიც დიდია. ეკონომიურის მხრივ ჩვენ ძალიან ვართ დაშორებული საბოლოო მიზანს, ჩვენ ჯერ კიდევ მათხოვრები ვართ, ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკებში მუშები იღებენ იმის ნახევარს, რასაც ომამდე იღებდენ. მაგრამ ჩვენ ხელშია მთავარი აპარატი, ჩვენ ხელშია უკვე მესაჭეობა და კიდეც წავიყვანთ სახელმწიფოს უახლოესი გზით სოციალიზმისაკენ. და ეს სახელმწიფო პატარა არ არის, მას უჭირავს მთელი მსოფლიოს 1 მეექვსედი ნაწილი. დავა, რომელიც ატეხილია პროლეტარიატის დიქტატურის და პარლამენტარული გზის მომხრეთა შორის უკვე გადაიჭრა, პირველებმა უკვე გადალახეს ის ქედი, რომელიც საზღვრავს სოციალისტურ და კაპიტალისტურ მსოფლიოს და მიუხედავათ ყველა დაბრკოლებათა, წარმატებით მიდიან წინ. მეორენი დაშლის პროცესში იმყოფებიან, ებლაუქებიან ბურჟუაზიას, სუნთქავენ იმდენათ, რამდენადაც საშუალებას აძლევს ბურჟუაზია და მოქმედებენ ისე, როგორც ბურჟუაზიას მოსწონს. ვის შეუძლია სთქვას, რა სახით მოგვევლინა ჩვენ სოციალისტი თომა; იყო ის საფრანგეთის მუშების წარმომადგენელი, თუ საფრანგეთის მთავრობის აგენტი. ვის შეუძლია სთქვას რა სახით ჩამოვიდა აქ ვანდერველდე ბელგიის მუშების წარმომადგენლის და 2 ინტერნაციონალის წინამძღოლის, თუ მისი უდიდებულესობის ბელგიის მეფის მინისტრის სახით 2 ინტერნაციონალის პარტიები ბურჟუაზიის აშკარა აგენტები გახდენ. მათი ოდესღაც წითელი დროშები გაყვითლდენ. ეს ყველაზე კარგად გამოაშკარავდა საქართველოში, სადაც მენშევიკებმა ჩამოხსნეს წითელი დროშა და მის ნაცვლად ააფრიალეს სამფეროვანი ეროვნული დროშა და ფაქტიურად გააუქმეს „ინტერნაციონალის“ სიმღერა და შესცვალეს იგი ეროვნული ჰიმნით, სადაც მენშევიკებმა შექმნეს ერთიანი ფრონტი ბურჟუაზიასთან, ეროვნულ ბურჟუაზიასთან და მასთან ერთად მოაწყვეს პარიტეტული კომიტეტი მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. იყო დრო, როდესაც მენშევიკურ პარტიას დიდი ღვაწლი მიუძღვოდა. შეიძლება ითქვას, რომ აი აქ, საქართველოში სწორედ მენშევიკებმა გაარევოლიუციონერეს ხალხი. მაგრამ ეს იყო ოდესღაც და მას უკვე ხავსი მოეკიდა. ეხლა 2 ინტერნაციონალი, რომელიც ებლაუქება პარლამენტარულ დემოკრატიზმს, აგრეთვე დაეცა ისე, რომ არ შეიძლება დაისვას საკითხი როგორი გზით უნდა წავიდეთ სოციალიზმისაკენ. ეხლა ბრმა ან შეგნებული მატყუარა უნდა იყოს, რომ უარყოს პროლეტარიატის დიქტატურის გზა სოციალიზმისაკენ. (ტაში).

„ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა № 4